- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში;
- სტრატეგიული გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- 2024 წლის 3 ივლისის N2 სხდომის ოქმი;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- გასაუბრების შედეგები;

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

დაწესებულების ხელმძღვანელის 22.04.2024 წლის N 01/15 ბრძანებით დამტკიცებულია წესი ,, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული წესი ითვალისწინებს სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას და შეფასების გეგმას. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს ახორციელებს შიდა მონიტორინგისა და შეფასების კოორდინატორი კვარტალში ერთხელ. შეფასების გეგმის საბოლოო ვერსიას გადასცემს აკადემიის დირექტორს სტრუქტურულ ერთეულებს. მონაცემებზე დაყრდნობით ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს როგორც ინდიკატორებში, ასევე მონაცემთა შეგროვების პერიოდულობაში და ანგარიშგების სიხშირეში.
ზემოაღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილი არ არის სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მასში არ იკვეთება ვინ არის ჩართული სამოქმედო გეგის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, რა პერიოდულობით ხდება გეგმის მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება. როგორ ხდება მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით როგორ ხორციელდება რეაგირება და ინფორმაციის საჯაროობა. ზემოაღნიშნულის გათვალისიწნებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, *დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის დახვეწას და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.* აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ წესის მიხედვით, შიდა მონიტორინგისა და შეფასების გემის საფუძველზე ინფორმაციის შეკრებასა და ანგარიშგებას დაიწყებს 2025 წლის იანვრის თვიდან ყოველკვარტლურად. მონიტორინგს და შეფასებას დაწესებულება განახორციელებს გეგმის მიხედვით, რომელიც მოცემულია სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტრონიგის ანგარიშში.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ წესში არ არის გაწერილია სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობა, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ყველა აქტივობისთვის ცნობილი და გაზიარებული უნდა იქნას დაინტერესებულ მხარეებთან. დაწესებულებას არ აქვს გაწერილი თუ რა გზით მოახდენს ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ წარმოუდგენია სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში, აღნიშნული დოკუმენტი არ არის განთავსებული ვებ გვერდზე. ზემოაღნიშნულის გათვალისიწნებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, *დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის დახვეწას და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.* აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების, სტრატეგიის განხორციელების შიდა მონიტორინგისა და შეფასების და სტრატეგიის გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში;
- სტრატეგიული გეგმა;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ 2024 წლის 17 აპრილის N01/13 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის უფლებები - მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, დააფუძნოს პროფესიული და სხვა ორგანიზაციები, ან გაერთიანდეს მასში, დაცული იყოს არასათანადო მოპყრობისაგან, დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობისა და სტატუსის შეჩერების, სტატუსის შეწყვეტის უფლებით, წინასწარ გაეცნოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, შეფასების სისტემებს და შედეგებს, ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით. ისარგებლოს აკადემიის საკუთრებაში არსებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით და აშ. ვალდებულებები - დაიცვას კანონმდებლობის , დაწესებულების მიერ შემუშავებული წესების, შინაგანაწესისა და სხვა შიდა მოთხოვნები; შეასრულოს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები; შეასრულოს აკადემიასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა პროფესიულ სტუდენტთა გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშები (სრულწლოვანი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი). ხელშეკრულების ნიმუშში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა უფლებები და ვალდებულებები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრულია დაწესებულებასა და პირს შორის ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისად მხარეები ხელმოწერით ადასტურებენ ხელშეკრულებით გაწერილი პუნქტების გაცნობას.
ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის N01/11 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, რომელშიც მოცემულია შეფასების სისტემა, ტიპები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართულებები, შეფასების შედეგებზე სტუდენტების ინფორმირება, შეფასების პრინციპები, გასაჩივრების წესი, მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი და სხვა. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტები მუდმივად იღებენ მხარდაჭერას დაწესებულების წარმომადგენლებისგან შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

დაწესებულებაში ვიზიტისას შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშები, რომელთა შინაარსი წინააღმდეგობაში არ არის მოქმედ კანონმდებლობასა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან. ამასთან, დაცულია არასრულწლოვან პირებთან სწავლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა.
ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ 2024 წლის 17 აპრილის N01/13 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები, სადაც პროფესიულ სტუდენტთა უფლებების ერთ-ერთ პუნქტად გაწერილია, რომ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში.
ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;
- პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშები;
- ინტერვიუს შედეგები.
- შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის N01/11 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, სადაც მე -7 მუხლში გაწერილია შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა. ინფორმაცია შეფასების თაობაზე პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეფასების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ხოლო, პროფესიული სტუდენტს შეფასების შედეგს აცნობს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ინდივიდუალურად.
დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება სტუდენტის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, დამატებითი კონსულტირების ვადები და კონსულტაციის ფორმა. ასევე განსაზღვრული არ არის მსგავსი სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი ან სხვა სტრუქტურული ერთეულისაგან ან სხვა სტუდენტებისაგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმაა.

ზემოაღნიშნულის გათვალისიწნებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, *დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების გაწევის მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება პროფესიულ სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინფორმირების საკითხები დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.* აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცედურა კოლეჯში სასწავლო პროცესის დაწყებისას, ვინ აცნობს პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებს, ქცევის ნორმებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თავისებურებებს, კოლეჯის მისიას, ხედვას და სხვ. როგორ ხდება პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა განაწილება , როგორ უტარდებათ ინსტრუქტაჟი, განემარტებათ პრაქტიკის ობიექტზე ქცევისა და უსაფრთხოების წესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისიწნებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების გაწევის მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება პროფესიულ სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინფორმირების საკითხები დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

დაწესებულების მიერ შემუშავებულია საქმისწარმოების დებულება, რომელიც დამტკიცებულია თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის 01/1 ბრძანებით. კოლეჯის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერის ფუნქცია მოვალეობებსა და აღნიშნულ წესში არ იძებნება პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები. როგორ ხორციელდება ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, რა ვადაში და ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნულ საკითხებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისიწნებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის 01/1 ბრძანებით დამტკიცებულ საქმისწარმოების წესში ცვლილებების შეტანას ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ 2024 წლის 17 აპრილის N01/13 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები, აღნიშნული წესის 22-ე მუხლში მოცემულია ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა კლუბის შექმნის შესაძლებლობის მისი როლისა და ფუნქციის შესახებ, თუმცა აღნიშნული ვერ ფარავს ინდიკატორის მოთხოვნას. დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პირობებს (მაგ: რამდენი ინიციატივის მხარდაჭერა შეუძლია წლის განმავლობაში და რის მიხედვით იქნება გადარჩეული შემოსული წინადადებები),დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები და ა.შ.

როგორც ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესებში ცვლილებების შეტანას, ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების შესაბამისად
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დაწესებულების ხელმძღვანელის 2024 წლის 15 აპრილის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“, რომლის მე-6 და მე-7 მუხლში მოცემულია პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, დაწესებულების მონიტორინგის ჯგუფი ადგენს სხვადასხვა მიზნობრივ კითხვარებს, რისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებითაც, პროფესიული სტუდენტები აფასებენ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სერვისებს, ხოლო მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;
- საქმისწარმოების დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- ინტერვიუს შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების გაწევის მექანიზმები, ვინაიდან აღნიშნული წარმოება ემსახურება დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების პრაქტიკულად ნახვა შეუძლებელია, შესაბამისად,

როგორც ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს კარიერული მომსახურების კვლევის ადმინისტრირების, პერიოდულობის და მიღებული შედეგების ანალიზის მომზადების მექანიზმების გაწერას/შექმნას ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების შესაბამისად
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების გაწევის მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება პროფესიულ სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინფორმირების საკითხები დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ვინაიდან აღნიშნული წარმოება ემსახურება დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების პრაქტიკულად ნახვა შეუძლებელია, შესაბამისად,

როგორც ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. აკადემიის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების გაწევის მექანიზმების შექმნას, ექსპერტების მიერ დასკვნაში მითითებული ხარვეზების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

დაწესებულების ხელმძღვანელის 2024 წლის 15 აპრილის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა, რომლის მე-6 და მე-7 მუხლში მოცემულია პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები. თუმცა აღნიშნული წესი არ არეგულირებს კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის ადმინისტრირებას, პერიოდულობას და მიღებული შედეგების ანალიზის მომზადებას. ვინაიდან აღნიშნული წარმოება ემსახურება დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების პრაქტიკულად ნახვა შეუძლებელია, შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, ვიზიტისას ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს კარიერული მომსახურების კვლევის ადმინისტრირების, პერიოდულობის და მიღებული შედეგების ანალიზის მომზადების მექანიზმების გაწერას/შექმნას ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს მექანიზმები, რომელიც დაარეგულირებს კარიერული მომსახურების კვლევის ადმინისტრირებას, პერიოდულობას და მიღებული შედეგების ანალიზის მომზადებას. ვინაიდან აღნიშნული წარმოება ემსახურება დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების პრაქტიკულად ნახვა შეუძლებელია, შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, ვიზიტისას ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს კარიერული მომსახურების კვლევის ადმინისტრირების, პერიოდულობის და მიღებული შედეგების ანალიზის მომზადების მექანიზმების გაწერას/შექმნას ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების შესაბამისად.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის მიერ წარმოდგენილია სტრუქტურა აკადემიის სტრუქტურა მოიცავს პირებს, როგორიცაა:1.პარტნიორთა კრება, 2. შპს დირექტორი, 3. აკადემიის ხელმძღვანელი, 4. აკადემიის ხელმღვანელის მოადგილე, 5. ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის და საფინანსო სერვისების განვითარების მენეჯერი, 6. საზოგადოებასთან ურთიერთობის, სოციალური მედიის და მარკეტინგული კვლევების მენეჯერი, 7.საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერი, 8. სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი 9. ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი 10. ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერი 11. ოფისის მენეჯერი-პროფესიულ სტუდენტთა რეესტრზე პასუხისმგებელი პირი 12. სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი 13. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელები, 14. სამეურნეო და უსაფრთხოების მენეჯერი, 15. ექიმი და 16. დამლაგებელი

სტრუქტურა არ არის აღქმადი, ვიზუალურად არ ჩანს პირებს შორის ურთიერთდაქვემდებარება. სტრუქტურას ახლავს ტექსტის სახით განმარტებები, რომლის თანახმად აკადემიის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. აკადემიის მართვას ახორციელებს შპს დირექტორი და აკადემიის ხელმძღვანელი. შპს დირექტორს უშუალოდ ექვემდებარება აკადემიის ხელმძღვანელი და ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის და საფინანსო სერვისების განვითარების მენეჯერი. აკადემიის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და მასთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს შპს დირექტორი. ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი წარმოადგენს ფუნქციურად და თანამდებობრივად დამოუკიდებელ მიმართულებას და ის უზრუნველყოფს აკადემიის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას და მუდმივ მონიტორინგს. საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერს ექვემდებარება ოფისის მენეჯერი- პროფესიულ რეესტრზე პასუხისმგებელი პირი.
სტრუქტურაში არ არის წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც ძირითადი საყრდენია კოლეჯისთვის, ასევე, არ ჩანს ბიბლიოთეკარი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალისტი.
პერსონალის ფუნქციები გაწერილია აკადემიის დებულებაში (დამტკიცებულია 01/1 ბრძანებით 01.04.2024, ცვლილების ბრძანება 01/32 19.09.2024), მხოლოდ ექიმის და დამლაგებლის ფუნქციებია განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით. აკადემიას ასევე შემუშავებული აქვს სამუშაო აღწერილობები, რომელიც განთავსებულია პირად საქმეში და მოიცავს თანამდებობის დასახელებას, შესასრულებელ დავალებებს, სამუშაო პირობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სამუშაო აღწერილობის გაცნობა დასტურდება მასზე ხელმოწერით. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, ცვლილება შეიტანოს სტრუქტურაში და ჩამოაყალიბოს იმგვარად რომ ჩანდეს პირებების/სამსახურების ურთიერთდაქვემდებარება, ასევე სტურქტურაში დაამატოს ისეთი პოზიციები, რომლებიც აუცილებელია დაწესებულების ფუნქციონირებისთვის.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიას პოზიციების შესაბამისად სწორად აქვს ფუნქციები განაწილებული. სტრუქტურა არ ითვალისწინებს, თუმცა დებულებით ასევე გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქციები. აკადემიის სტრუქტურით განსაზღვრული პირების ფუნქციები გაწერილია აკადემიის დებულებაში. აკადემიას ჯერჯერობით ვაკანტური აქვს რიგი პოზიციები, როგორიცაა აკადემიის ხელმძღვანელის მოადგილე; საზოგადოებასთან ურთიერთობის, სოციალური მედიის და მარკეტინგული კვლევების მენეჯერი და სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი, ასევე ოფისის მენეჯერი-პროფესიულ სტუდენტთა რეესტრზე პასუხისმგებელი პირი. ამასთანავე აკადემიაში არ არის იურისტის პოზიცია და იურიდიული საკითხების გადაწყვეტა შეთავსებული აქვს აკადემიის ხელმძღვანელს. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში პასუხისმგებლობები პერსონალის ფუნქციების შესაბამისადაა გადანაწილებული.
პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, თუმცა ვაკანტურია რამდენიმე პოზიცია, **დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, დროულად მოხდეს ვაკანტურ ადგილებზე შესაბამისი პირების აყვანა.**

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

აკადემიას 2024 წლის 15 აპრილის 01/12 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა'', რითაც განსაზღვრულია აკადემიისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, შეფასების სტანდარტები, მიმართულებები, შეფასების პროცესი და მექანიზმი, ასევე განსაზღვრულია შეფასების განხორციელებაზე პასუხისმგებლად შიდა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი.
ვინაიდან ჯერ აკადემია არ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ჯერ არ აქვს შემუშავებული სხვადასხვა შეფასების ფორმები-კითხვარები.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები განსაზღვრულია აკადემიის დებულების მე -14 მუხლით. რომლის მიხედვით მის უფლებამოსილებად განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი გარე და არსებობის შემთხვევაში შიდა სტანდარტების მოთხოვნათა ინტერპრეტაცია და პერსონალის კონსულტაცია ამ საკითხებში, ხარისხის უზრუნველყოფის, როგორც პროცესის დაგეგმვა, დაწესებულების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება, დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან უკუკავშირის, ასევე სხვა სახის ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით, გაწეული მომსახურების, მათ შორის სწავლა-სწავლების და სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგი და შეფასება და ა.შ. მის ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტი არ ფიქსირდება, თუმცა აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები (დამტკიცებულია 01/13 ბრძანებით 17.04.2024) მიცავს მუხლი2-ს სასწავლო ცხრილის შედგენის თაობაზე, რომლის მიხედვით ცხრილს ადგენს სწავლების, განვითარების და ინოვაციური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან და ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერთან კომუნიკაციით. წესი ასევე არეგულირებს მობილობის პროცესს და 5.14 პუნქტის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერის მიერ დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა აღიარებული კრედიტების მითითებით ან/და სწავლის შედეგები. ასევე. რეგულაციის მიხედვით მისი მონაწილეობა იკვეთება ვალიდაციის პროცესში. კერძოდ, 2024 წლის 4 აპრილის N01/9 ბრძანებით დამტკიცებულია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მუხლი 9 (შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია)-ის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ ვალიდაციას აკეთებს აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შედის:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი;

ბ) დარგის სპეციალისტები(თითოეულ მიმართულებაზე 2 დარგის წარმომადგენელი).

ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი ვიზიტის დროს ქვეყანაში არ იმყოფებოდა და მასთან ონლაინ გასაუბრებით დადგინდა, რომ აკადემიამ მარეგულირებელი დოკუმენტები შეიმუშვა და მას ხელშეკრულება მოგვიანებით გაუფორმდა.

სსსმ და შშმ პირების გადაადგილებისა და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი მოიცავს ინდ. გეგმის შემუშავების პროცედურებს, სადაც ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის მენეჯერი.

შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, ვიზიტისას ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.**

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს განახორციელოს ცვლილებები ყველა დოკუმენტში, სადაც იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ინტერესთა კონფლიქტი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ყველა აქტივობის შესრულების ვადად მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს დათქმულ დროში. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის სტრუქტურა;
- აკადემიის მარეგულირებელი დებულება;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა;
- პერსონალთან გასაუბრება.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

საავტორიზაციო განაცხადს თან ახლავს მხოლოდ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 3 აპრილს 01/7 ბრძანებით და მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათი მიღების წესს (მუხლი 3) გამარტივებული გზით და კონკურსით მიღების წესს (მუხლი 4).
ვიზიტის დროს ვერ იქნა წარმოდგენილი პერსონალის მართვის პროცედურების მარეგულირებელი დოკუმენტი. არ არის დარეგულირებული პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნა, ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან და მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეფექტურად ჩართვა სამუშაო პროცესში, პერსონალის შეფასება, შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის მონიტორინგი, პერსონალის პროფესიული განვითარება, პერსონალის წახალისება და სხვა.
მუხლი 3-ის მიხედვით პროფესიული განთლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ვაკანსია ქვეყნდება აკადემიის ვებ-გვერდზე/ ოფიციალურ სოციალურ გვერდზე ან/და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით და მიღება ხორციელდება წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, გასაუბრების ან/და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე. შერჩევისას უპირატესობა ენიჭება შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობის სტაჟს და გამოცდილებას.
მუხლი 4- კონკურსით მიღების წესი აზუსტებს წინამდებარე მუხლს და განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის/ ინსტრუქტორის შესარჩევად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კონკურსით შერჩევის წესი.

დასვენების დრო განსაზღვრულია დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულია 1 სთ, ამასთანავე, ადმინისტრაციული პერსონალის ხელშეკრულებებში არის მუხლი 1.3 რომლის მიხედვით სამუშაო დღეებია შაბათისა და კვირის გარდა დანარჩენი 5 დღე, დილის 9 საათიდან 17 საათამდე და ამავდროულად ხელშეკრულების მე-7 მუხლი ეწინააღმდეგება ხელშეკრულების 1.3 პუნქტს, რომლის მიხედვით - ყოველი სამუშაო დღე განსაზღვრულია 8 საათით, შესვენება - 1 საათით. შესაბამისად შინაგანაწესი და პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სამუშაო საათების თაობაზე ჩანაწერები არ ემთხვევა ერთმანეთს.
ვიზიტის დროს შეიცვალა შინაგანაწესი, კერძოდ 26 თებერვლის 01/8 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა დირექტორის 2024 წლის 01/1 ბრძანებაში და შეიცვალა აკადემიის შინაგანაწესის მე-5 მუხლის (სამუშაო დრო და პირობები) მე-6 პუნქტი და ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამუშაო დრო განისაზღვრა 9 საათიდან 18 საათამდე. თუმცა არ შეცვლილა ადმინისტრაციული პერსონალის ხელშეკრულებებში სამუშაო საათები. აკადემიამ ვერ წარმოადგინა პერსონალისთვის შინაგანაწესის და მითუფრო ვიზიტის დროს შინაგანაწესში შეტანილი ცვლილების გაცნობის მტკიცებულებები.

შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, ვიზიტისას ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.**
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს პერსონალის მართვის პროცედურების მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნას ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა განსაზღვრულია მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ინსტრუქტორებისთვის. შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებლები აკადემიას შერჩეული ყავს გამარტივებული გზით, კონკურსის გარეშე. ამავდროულად, როდესაც კონკურსის გარეშე გამოცხადებულ ვაკანსიაზე პირი განცხადებით მიმართავს აკადემიას და წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტებს, ხელმძღვანელის მიერ საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერთან ერთად დგინდება გასაუბრების ან/და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე პირის კვალიფიკაციის ან/და მუშაობის გამოცდილების შესაბამისობა ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნებთან. აღნიშნულ კანონთან და პროფესიული სტანდარტის შესაბამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ევალება საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერს. მნიშვნელოვანია აღნიშნულ შერჩევაში მონაწილეობდეს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, ვინც შეძლებს პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპეტენცია შეაფასოს კონკრეტულ მოდულთან მიმართებით რაც უნდა განახორციელოს ვაკანტურ პოზიციაზე წარდგენილმა პირმა.
აკადემიას არ აქვს განსაზღვრული ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები, შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით; პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ არსებით პირობებს, თუმცა საყურადღებოა, რომ ანაზღაურება მითითებულია პირდაპირ და არ ფიქსირდება გადასახადებს მოიცავს თუ არა. ასევე, დასაზუსტებელია სამუშაო საათების საკითხი (იხილეთ წინა ინდიკატორის აღწერაში)
აკადემიას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის მუხლი 26 არეგულირებს პირადი საქმეების წარმოების წესს და განსაზღვრულია დოკუმენტების ჩამონათვალი რა ინახება თანამშრომლების პირად საქმეში, ვიზიტის დროს გადამოწმდა პირად საქმეში დაცული დოკუმენტები. დადასტურდა, რომ პერსონალის პირად საქმეები უმეტესწილად მოწესრიგებულია და მასში დაცული დოკუმენტები შესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გამოიკვეთა ერთეული შემთხვევები, როცა პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრული დოკუმენტი, მაგალითად ბიბლიოთეკარს და ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერს არ აქვს სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი პირად საქმეში.

ექსპერტთა შეფასებით, ვიზიტისას ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნას და ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების და პირადი საქმეების შესაბამისობაში მოყვანას.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ადმინისტრაციული პერსონალისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 1 აპრილის 01/1 ბრძანებით (ცვლილების ბრძანება 01/32 19.09.2024), რომლის მიხედვით საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაყოფილია სავალდებულო და სასურველ ნაწილად, თუმცა რიგ შემთხვევაში სასურველი მოთხოვნები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის გარეშე სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვერ უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის შერჩევას და დანიშვნას ვაკანტურ თანამდებობაზე.
მაგალითად, 1) საზოგადოებასთან ურთიერთობის, სოციალური მედიის და მარკეტინგული კვლევების მენეჯერს მოეთხოვება სავალდებულოდ მხოლოდ საშუალო განათლება და სასურველია ,,კონტენტ კრეატორად მუშაობის გამოცდილება, სოციალური მედიის მენეჯერად მუშაობის გამოცდილება.” აღნიშნულ პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნებში საერთოდ არ ფიქსირდება მარკეტინგული კვლევების მიმართულებით რა კომპეტენცია უნდა ქონდეს პირს, ამ მიმართულებით მხოლოდ საშუალო განათლების მქონე პირი ვერ იქნება კომპეტენტური. 2) სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში სავალდებულო ნაწილად ფიქსირდება უმაღლესი განათლება, არ არის დაკონკრეტებული კვალიფიკაცია, ხოლო სასურველია პირს ჰქონდეს ,,საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება”. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირს ვერ ექნება ის უნარები, რაც საჭიროა სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერის ფუნქციების შესასრულებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულია სამუშაო გამოცდილება - განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება (სავალდებულო) და პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება (სასურველი). არ ჩანს დარგობრივი ცოდნის ან/და გამოცდილების ფლობა სავალდებულოდ, რაც მოთხოვნილია ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის ფარგლებში.
საკვალიფიკაციო მოთხოვნად უმეტეს პოზიციაზე ფიქსირდება უმაღლესი განათლება, მაგრამ არ კონკრეტდება მიმართულება. რეკომენდირებულია დაზუსტდეს, ვინაიდან ცალკეულ შემთხვევაში როცა სამუშაო გამოცდილების მოთხოვნაც ზოგადი ხასიათისაა, საერთო ჯამში სწორად არ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა ადმინისტრაციულ პერსონალს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს. აკადემიის დებულების მიხედვით, სწავლების, განვითარებისა და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერს ეკისრება ორი მიმართულების მოვალეობა, ერთ სასწავლო პროცესის, ხოლო მეორე საქმისწარმოების, მასთან გასაუბრებით დადგინდა რომ ის არ იცნობს საკუთარ უფლება- მოვალეობებს, რომელიც გაწერილია როგორც დებულებაში ასევე ხელშეკრულებაში, სწავლების, განვითარებისა და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერმა ვერ აღწერა რა ფუნქცია ეკისრება მას სასწავლო პროცესში და საქმისწარმოების მიმართულებით. ასევე საკუთარ ფუნქცია მოვალეობებს არ იცნობდა ბიბლიოთეკარი, სასწავლო რესურსების დათვალიერებისას , ვერ შეძლო ექსპერტთა ჯგუფისათვის წარედგინა ლიტერატურა ბეჭდური ან/და მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით, ვიზიტისას ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ "თავისუფალი ხედვის აკადემიის საშტატო თანამდებობებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ " ბრძანებაში ცვლილებების განხორციელებას და პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაწერას.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

გამომდინარე იქიდან, რომ აკადემია როგორც სასწავლო დაწესებულება ახლა იწყებს ფუნქციონირებას, პერსონალის მართვის პოლიტიკა ხორციელდება შეძლებისდაგვარად მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპით. ინტერვიუირებისას დადასტურდა, რომ აკადემიის ხელმძღვანელს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის მრავალწლიანი გამოცდილება და ძირითადად მისი ხელმძღვანელობით ორგანიზდება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები. ადმინისტრაციულ თანამშრომელთა ნაწილი წარმოადგენს აკადემიის შენობაში, აკადემიის დაფუძნებამდე არსებული ორგანიზაციის, ა(ა)იპ ონკოპრევენციის თანამშრომლებს, რომლებიც ადაპტირდნენ სასწავლო დაწესებულების სპეციფიკაში და გუნდური მუშაობის პრინციპით ვითარდებიან ყოველდღიურად.
დაწესებულების გუნდმა ერთად იმუშავა დაწესებულების მისიაზე, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე, რასაც ადასტურებს შესაბამისი ოქმი.
აკადემია ახორციელებს მოკლევადიან მომზადების პროგრამებს და თანამშრომლები პრაქტიკულად უკვე საქმიანობენ. თანამშრომლებთან გასაუბრებით დასტურდება ორგანიზაციული კულტურა, ერთსულოვნება და გუნდურობა პირველი მიზნის მისაღწევად აკადემიამ მოიპოვოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- შინაგანაწესი;
- აკადემიის დებულება;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების ჯგუფის ოქმი.
- აკადემიის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- აკადემიის პერსონალთან გასაუბრება;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

აკადემიამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი, ვერ იქნა წარმოდგენილი პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. სამოქმედო გეგმა მოიცავს ადამიანური რესურსის განვითარების პროგრამას, რომელიც საჭიროებს ცალკე ბიუჯეტირებას, თუმცა დამატებით დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი. აღნიშნული ამოცანის ფარგლებში უნდა განისაზღვროს ადამიანური რესურსების კომპეტენციების გაზრდის საჭიროება და შედგეს პროგრამა, შესრულების ვადად მითითებულია 2024-2025 წლები. ვინაიდან მარეგულირებელი დოკუმენტები აკადემიის ხელმძღვანელის აქტიური ჩართულობით იქნა შემუშავებული ექსპერტები გაესაუბრნენ აკადემიის ხელმძღვანელს, დააზუსტეს ინფორმაცია, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი ვიზიტის დროს პერსონალის საქმიანობის შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტი (გარდა პროფესიული მასწავლებლებისა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

აკადემია ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სახელით, შესაბამისად ჯერ არ აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების ღონისძიებები, რომელიც განხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით._სამოქმედო გეგმა მოიცავს ადამიანური რესურსის განვითარების პროგრამას, რომელიც საჭიროებს ცალკე ბიუჯეტირებას, თუმცა დამატებით ვერ იქნა წარმოდგენილი. აღნიშნული ამოცანის ფარგლებში უნდა განისაზღვროს ადამიანური რესურსების კომპეტენციების გაზრდის საჭიროება და შედგეს პროგრამა, შესრულების ვადად მითითებულია 2024-2025 წლები, თუმცა ჯერ შესრულებისთვის აქტივობები არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმების/პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნას.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიის „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა” მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასებას, რომლის მიხედვით მასწავლებლის ხარისხი განისაზღვრება მისი სწავლებისა და საქმიანობის გამოცდილებით. მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების კომპეტენცია ფასდება შემდეგი კომპონენტებით: პროგრამის ეფექტურად დაგეგმვისა და შემუშავების უნარი, უშუალოდ სწავლების, ანუ ცოდნის გადაცემის, მიწოდების უნარი, დარგობრივი კომპეტენცია და მოდულის მართვის უნარი(ადმინისტრაციული უნარი). აღნიშნული შეფასება ხდება თვითშეფასებით, კოლეგების მიერ, სტუდენტების მიერ, პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზით, მეცადინეობაზე დასწრებით. მასწავლებლის დარგობრივი პროფესიული საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებია: შესაბამისი კვალიფიკაცია და მუშაობის გამოცდილება, კარიერული წინსვლა და პროფესიული განვითარება, მონაწილეობა პროფესიულ კონფერენციებში, წევრობა და აქტიური საქმიანობა პროფესიულ ორგანიზაციებში.
აკადემიას ჯერჯერობით არ აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების გამოცდილება, შესაბამისად არ შეფასებულან პროფესიული განათლების მასწავლებლები და არ დაუგეგმავთ მათი პროფესიული განვითარება. სამოქმედო გეგმა მოიცავს ადამიანური რესურსის განვითარების პროგრამას, რომელიც ფარგლებში უნდა განისაზღვროს ადამიანური რესურსების კომპეტენციების გაზრდის საჭიროება და შედგეს პროგრამა, შესრულების ვადად მითითებულია 2024-2025 წლები. აკადემიის ხელმძღვანელი გამოთქვამს მზაობას უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

აკადემიას არ აქვს რეგულირებული ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის პროცედურა და არც თანამშრომელთა ფუნქციებში არ ფიქსირდება აღნიშნული უფლებამოსილება. არსებული პრაქტიკა ვიზიტის დროს არ გამოკვეთილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი" და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს პერსონალის მართვის პროცედურების მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნას/დამტკიცებას ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

აკადემიას არ აქვს რეგულირებული პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების პროცედურა. არსებული პრაქტიკა ვიზიტის დროს არ გამოკვეთილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს პერსონალის მართვის პროცედურების მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნას/დამტკიცებას ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების შესაბამისად.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამოქმედო გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა;
- სტანდარტთა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- აკადემიის ხელმძღვანელთან და პერსონალთან გასაუბრება;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

აკადემია მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, თრიალეთის ქ 50-ში. (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.19.20.018.010) შენობა განთავსებულია სამ სართულზე და აქვს სასწავლო დანიშნულება. იჯარის ხელშეკრულება ძალაშია 2030 წლის 15 ივნისამდე და ითვალისწინებს გაგრძელების შესაძლებლობას. ხელშეკრულება გატარებულია საჯარო რეესტრში 1300 კვ მ ფართის სარგებლობის შესახებ. აღნიშნული შენობის ¼ წილის მფლობელი აკადემიის დირექტორია.

ასევე, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით მოძრავი ქონების გადაცემის შესახებ 2024 წლის 2 სექტემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება 40/ფ შპს თავისუფალი ხედვის აკადემიასა და ა(ა)იპ ონკოპრეცენციის ცენტრს შორის, რომლის დანართებით განსაზღვრულია 70 დასახელების მოძრავი ქონება, მათ შორის მოსწავლის 50 სკამი. ხელშეკრულება ძალაშია 2025 წლის 2 სექტემბრამდე. აღნიშნული ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივების მიზნით ახალი ხელშეკრულება 43/ფ გაფორმდა მიმდინარე წლის 26 თებერვალს, რომლითაც იგივე მოძრავი ქონების უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება დადასტურდა 2024 წლის 2 სექტემბრიდან 8 წლის ვადით.
ამასთანავე, შესყიდვის დოკუმენტებით ფიქსირდება საკლასო მაგიდების შესყიდვა 120 ცალი (2024 წლის 23 აგვისტო), ასევე 400 სკამი შესყიდულია 2024 წლის 21 აპრილს. სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით, ექსპერტთა ვიზიტის დროს, 26 თებერვალს აკადემიამ წარმოადგინა სასაქონლო ზედნადები ელ-0881156471, რომლითაც დამატებით მოსწავლის 96 მერხი შეიძინეს (ჯამში 11 040 ლარის ღირებულებით). შესყიდვის დოკუმენტებით დასტურდება, რომ აკადემია ფლობს კომპიუტერებს და სხვა ტექნიკურ რესურსებს, ასევე სასწავლო რესურსებს. კოლეჯმა წარმოადგინა შიდა აზომვითი ნახაზი. აკადემიის ყველა სართულზე განთავსებულია ფოიეები, რაც იძლევა შესაძლებლობას მოხდეს პირთა თავშეყრა მათ სასწავლო აუდიტორიებში გადანაწილებამდე. თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილია 17 სასწავლო აუდიტორია 12 ადგილით, ასევე 1 აუდიტორია 16 ადგილით და 3 კომპიუტერული კლასი თითოეული 20 ადგილით. ასევე დამატებითი აუდიტორიები სხვადასხვა პროგრამის პრაქტიკისთვის. ადმინისტრაციისთვის ოთახები განკუთვნილია ძირითადად მეორე სართულზე და მუდმივად მომუშავე ადამიანების რაოდენობის ადეკვატურია. მეორე სართულზევე მდებარეობს სამუშაო სივრცე პროფესიული მასწავლებლებისთვის. მესამე სართულზე მდებარეობს სამუშაო, შემოქმედებითი და დასასვენებელი სივრცე სტუდენტებისთვის. საბიბლიოთეკო და სამკითხველო სივრცე ასევე მდებარეობს მესამე სართულზე. აკადემია 2024 წლიდან ფუნქციონირებს და ახორციელებს მოკლევადიან პროგრამებს, თუმცა ჯერ საარქივო მასალები არ აქვს, შესაბამისად ჯერ არ აქვს შექმნილი არქივი, თუმცა დაწესებულების ფართი იძლევა შესაძლებლობას შეიქმნას სივრცე არქივისთვის. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიას საავტორიზაციო განაცხადის თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი აქვს 2024 წლის 19 სექტემბრის 01/37 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები, როგორც დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია, თუმცა აღნიშნული წესი არ არეგულირებს მატერიალური რესურსის გამოყენებას. ვიზიტის ფარგლებში სხვა დოკუმენტი აკადემიამ ვერ წარმოადგინა. შესაბამისად, ვერ დასტურდება დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი" და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს ,,სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას და მატერიალური რესურსების გამოყენების მექანიზმების გაწერას.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

აკადემიას დასაქმებული ჰყავს დამლაგებელი, რომელიც პასუხისმგებელია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ასევე 2024 წლის 22 აპრილის 01/15 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის თანახმად ექიმი თავისი უფლებების ფარგლებში ხელმძღვანელობს სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული პროცესის დაცვას. აკონტროლებს და პერიოდულად ატარებს რეიდებს აუდიტორიების, დერეფნების, სასადილოს, ტუალეტის შემოწმების მიზნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ყოველდღიურ ინფორმაციას აწვდის აკადემიის ხელმძღვანელს. ასევე, მას აქვს უფლებამოსილება ხელმძღვანელთან წარადგინოს წინადადებები თანამშრომლების მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და გამოსწორების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. აკადემია 2024 წლიდან ფუნქციონირებს და ახორციელებს მოკლევადიან პროგრამებს, მსმენელები აქტიურად დადიან და ესწრებიან სასწავლო პროცესს. ექსპერტთა ვიზიტის დროსაც ჩართული იყო ცენტრალური გათბობის სისტემა. წარმოდგენილ იქნა კომუნალური გადასახადები, კერძოდ გაზის და ელ. ენერგიის ხარჯები, მიმდინარე ზამთრის თვეების, რაც ადასტურებს რომ აქტიურად გამოიყენება ცენტრალური გათბობის სისტემა.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

შრომის უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ 34/ ფ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „საქართველოს შრომის უსაფრთხოებს ინსტიტუტთან ს/კ 402145585. კონსულტანტმა მომსახურება უნდა გაუწიოს აკადემიას სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების სისტემების შემუშავებასთან, დანერგვასთან და მართვასთან დაკავშირებით. აკადემიაში დასაქმებულ პირთა რიცხვი არ აღემატება 100-ს, შესაბამისად № 01/31 ბრძანებით (11. 09. 2024) განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი 1 პირი (ს. მ). დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. აკადემიას წარმოდგენილი აქვს 2024 წლის 19 სექტემბრის 01/37 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები, თუმცა ატარებს ზოგად ხასიათს და არ აღწერს პროცესს დეტალურად, მაგალითად არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იკვეთება რა ვადებში და ვინ ახდენს საჭირო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის მოთხოვნას ან რა ფორმით. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუმცა **დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, დეტალურად გაწეროს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის პროცედურა.**

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი არ ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. ჯერჯერობით კოლეჯს არ აქვს შემუშავებული კითხვარის ფორმები, რაც შეიძლება მოიცავდეს ისეთ კითხვებს რაც მისცემს საშუალებას აკადემიას შეაფასოს რესურსები. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ კითხვარებს არ ამტკიცებენ და იცვლება საჭიროების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწას, შესაბამისი კითხვარების ფორმების/ნიმუშების შექმნას.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

აკადემიის შენობაში, თითქმის ყველა A ტიპის აუდიტორიას აქვს ინდივიდუალური სანიტარული კვანძები, ვინაიდან შენობა წარმოადგენდა მოქმედ კლინიკას. მეორე სართულზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები(2 კვანძი, მათგან 1 ადაპტირებული),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფილია ჰიგიენური დაცვის საშუალებებით და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ ყველა სასწავლო ფართს, ადმინისტრაციისთვის გამოყოფილ სამუშაო ოთახებს და და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

დაწესებულების ყველა სასწავლო და ადმინისტრაციული ფართი უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი შესასვლელით, არ არის ერთმანეთში გამავალი და შესაბამისად არ წარმოადგენს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების განხორციელებისათვის შემაფერხებელ ფაქტორს. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

აკადემიის ბიბლიოთეკა მდებარეობს მესამე სართულზე და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი. სასწავლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- იჯარის ხელშეკრულება;
- უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით მოძრავი ქონების გადაცემის შესახებ გაფორმებულია ხელშეკრულება;
- შესყიდვის დოკუმენტები;
- სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები;
- დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამედიცინო უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები;
- შპს ,,საქართველოს შრომის უსაფრთხოებს ინსტიტუტთან" გაფორმებული ხელშეკრულება;
- საბიბლიოთეკო წესი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

შენობის მდგრადობისთვის წარმოდგენილია შპს ოპტიმუსის მიერ გაცემული საექსპერტო შეფასება, მისამართზე ქ. თბილისი , თრიალეთის ქ 50-ში (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.19.20.018.010) მდებარე სასწავლო დანიშნულების მქონე შენობის (№01/3) ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. საექსპერტო შეფასება გაცემულია 2024 წლის 12 ივლისს და დასკვნის სახით დაფიქსირებულია, რომ აღნიშნულ მისამართზე სასწავლო დანიშნულების სამსართულიანი შენობის ტექნიკური უსაფრთხოება დაკმაყოფილებულია, ხოლო მისი შემდგომი ექსპლუატაცია უსაფრთხო.
2024 წლის 20 სექტემბრის ბრძანება 01/40-ით დამტკიცებულია თავისუფალი ხედვის აკადემიის დაცვასა და უსაფრთხოების წესები. აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელია სამეურნეო და უსაფრთხოების მენეჯერი. მის ფუნქციებშია გათვალიწინებული სასწავლო კორპუსში, ეზოში და მის ტერიტორიაზე წესრიგისა და აკადემიის კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა, ასევე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
უსაფრთხოების წესების მიხედვით, დაცვაზე პასუხისმგებელია სამეურნეო და უსაფრთხოების მენეჯერს ევალებოდა ღამის მორიგეობა, რაც არ ევალება ხელშეკრულებით. აკადემიამ 2025 წლის 26 თებერვლის 01/9 ბრძანებით ხელახლა დაამტკიცა აკადემიის დაცვასა და უსაფრთხოების წესები და ღამის მორიგეობა ამოღებულ იქნა. სამეურნეო და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მენეჯერი დანიშნულია აკადემიის 2025 წლის 10 თებერვლის 01/3 ბრძანებით. 10 თებერვალს ამასთანავე მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება 1/შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 15 ივლისის მიწერილობა, გათვალისწინებული 26 აქტივობა, რომელთა შესრულების საბოლოო ვადად მითითებულია 30.06.2025. ვიზუალური დათვალიერებით ვიზიტის დროს დადგინდა, რომ აკადემიამ დადგენილ ვადებში საკმაოდ მოცულობითი სამუშაოები უკვე ჩაატარა. აკადემიას შემუშავებული აქვს შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა და წარმოადგინა საავტორიზაციო განაცხადთან ერთად. დაწესებულებას შეფასებული აქვს როგორც ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნული გეგმა საჭიროებს კორექტირებას, ვადისა და შესაბამისობის შეფასების თანხვედრას.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებას არ წარმოუდგენია კორექტორებული სტანდრტთან შესაბამისობის გეგმა.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. 2024 წლის 22 აპრილის 01/15 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის თანახმად ექიმი უწევს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. აკადემიას აქვს შესაბამისი პირველადი დახმარების საშუალებები და ინვენტარი.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ვერ იქნა წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან. არ არის დამტკიცებული საგანგებო რეაგირების შტაბი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შექმნას, და კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებას.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. ობიექტის სიგნალიზაციით დაცვის შესახებ 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულია ხელშეკრულება 25/ფ, რომლის მიხედვით შპს ვიქტორია სექიურითი დაცვის ქვეშ იღებს ცენტრალურ სამეთვალყურეო პულტზე აკადემიის შენობას მისამართზე ქ. თბილისი, თრიალეთის ქ 50. კოლეჯში მოწყობილია სიგნალიზაციის სისტემა და განგაშის გამოცხადების შემთხვევაში დაცვის სამსახური ადგილზე უნდა გამოცხადდეს 5-7 წთ-ის განმავლობაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილების მიზნით. ხელშეკრულება ძალაშია 2027 წლის 1 ივლისამდე. ასევე აკადემიის 2024 წლის 20 სექტემბრის ბრძანება 01/40-ით დამტკიცებულია თავისუფალი ხედვის აკადემიის დაცვასა და უსაფრთხოების წესები. აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელია სამეურნეო და უსაფრთხოების მენეჯერი. მის ფუნქციებშია გათვალიწინებული სასწავლო კორპუსში, ეზოში და მის ტერიტორიაზე წესრიგისა და აკადემიის კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ოპტიმუსის მიერ გაცემული საექსპერტო შეფასება;
- დაცვასა და უსაფრთხოების წესები;
- სამეურნეო და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მენეჯერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- 2024 წლის 15 ივლისის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მიწერილობა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- სამედიცინო უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს ვიქტორია სექიურითი-სთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- აკადემიის დაცვასა და უსაფრთხოების წესები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. აკადემიას აქვს სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტუქტურა. ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს აქვს სათანადო პარამეტრების კომპიუტერი, ასევე აკადემიას აქვს 3B გარემო, თითოეულში 20 კომპიუტერი სტუდენტებისთვის და 1 პროფესიული მასწავლებლისთვის. კომპანია სს ,,სილქნეტსა'' და აკადემიას შორის სააბონენტო ხელშეკრულება ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესახებ (იურიდიული პირებისათვის) №24/ფ გაფორმებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2024 წლის 1 ივლისს. შერჩეულია ტარიფი business 1 მაქსიმალური სიჩქარე 6 მბ/წმ, ფაქტობრივი სიჩქარე 4,8 მბ/წმ და მინიმალური სიჩქარე 1,2 მბ/წმ. აკადემიას აქვს როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი. ექსპერტთა ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმდა და დადასტურდა ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. 2024 წლის 1 აპრილის ბრძანება N01/5-ით დამტკიცებულია საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა. კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მუშაობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე, არსებული პრობლემების დროულად მოგვარებაზე, ქსელის მართვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი არის ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერი. IT რისკების მართვის პოლიტიკა მოიცავს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს რასაც ახორციელებს პასუხისმგებელი პირი პრევენციულად, აკადემიის კომპიუტერებში დაინსტალირებულია ანტივირუსული უზრუნველყოფა და ოპერაციული სისტემები დაცულია მავნე კოდის მქონე პროგრამებისგან (worm, trojan, ransomware) და ვირუსებისგან. აკადემიისთვის მაღალი კრიტიკულობის და/ან მგრძნობელობის ინფორმაცია განთავსებულია ფიზიკურად დაცულ ადგილას.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ 35/ ფ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპანიასთან'' ს/კ 406460235. ხელშეკრულების თანახმად ,,ოფიცერი'' აკადემიას შეუსრულებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონით პროფესიულ მონაცემთა დაცვის ოფიცერისთვის დაკისრებულ ფუნქციებს.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

აკადემია მოქმედი რეგულაციით არ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი არ ითვალისწინებს დაწესებულების საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასებას, ჯერჯერობით კოლეჯს არ აქვს შემუშავებული კითხვარის ფორმები, რაც შეიძლება მოიცავდეს ისეთ კითხვებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც მისცემს საშუალებას აკადემიას შეაფასოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურა და IT პროცესების სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ კითხვარებს არ ამტკიცებენ და იცვლება საჭიროების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასების მექანიმზების, კიხვარის ფორმების შექმნას აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. რაიმე მარეგულირებელი აქტით არ არის განსაზღვრული რამდენი კომპიუტერია გამოყოფილი ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლებისთვის და სტუდენტებისთვის. თუმცა 2024 წლის 1 აპრილის ბრძანება N01/5-ით დამტკიცებულია საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა, რომლის მიხედვით დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის გამართულ/მუშა მდგომარეობაში არსებობა და კომუნიკაციის საშუალების, ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობა თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის.
ვიზიტის დროს აკადემიის წარმომადგენლებმა გასაუბრებით დაადასტურეს აკადემიაში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკის ხელმისაწვდომობა. სტუდენტებისთვის ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი ელ. რესურსებისთვის. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა სასწავლო აუდიტორიებში, კოლეჯის თავისუფალ სივრცეებში და ბიბლიოთეკაში.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. ერთიანი საკომუნიკაციო სივრცის შესაქმნელად აკადემია იყენებს Office 365-ს და Microsoft Teams-ის ან/და Zoom-ის პლატფორმას. Microsoft Teams-ის ან/და Zoom-ის პლატფორმაზე ადმინისტრაციისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემია იყენებს შესაბამის ანგარიშებს (Account).
Microsoft Teams-ის ან/და Zoom-ის პლატფორმის საშუალებით: პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ დაგეგმონ და ჩაატარონ ონლაინ ლექციები და შეხვედრები; ადმინისტრაცია მართავს ონლაინ შეხვედრებს; პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს აქვთ საშუალება დაუკავშირდნენ ერთმანეთს და აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შექმნან ჯგუფები და განიხილონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები.
ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციისთვის აკადემიის ადმინისტრაცია იყენებს როგორც Office 365-ის ანგარიშებს. ონლაინ შეხვედრებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, აკადემია ასევე იყენებს სხვა უფასო პროგრამებს, როგორიცაა Zoom, Google Meet და ა.შ. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისთვის, გარდა Microsoft Teams-სა აკადემია იყენებს სხვადასხვა პლატფორმებს: Gmail, Facebook, freeedu.ge

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპანია სს,,სილქნეტსა'' და აკადემიას შორის სააბონენტო ხელშეკრულება;
- IT ვირუსისგან დამცავი სისტემა;
- უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
- საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა;
- შპს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპანიასთან'' გაფორმებული ხელშეკრულება;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. აკადემიის საქმისწარმოების დებულება დამტკიცებულია 2024 წლის 1 აპრილის 01/1 ბრძანებით. საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: შემოსული, გასული, შიდა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. აკადემია კორესპონდენციებს იღებს საფოსტო განყოფილებიდან, ელექტრონულად და უშუალოდ წარმომადგენლისგან. აკადემია იყენებს ელ. ფოსტას freeeduge@gmail.com. რეგულაცია ძირითადად აქცენტს აკეთებს ფიზიკურ საქმისწარმოებაზე.

საქმისწარმოების მუხლი 9-ის მიხედვით, წერილი შესრულებულად ითვლება, თუ განხილულია მასში დასმული ყველა საკითხი, გატარებულია აუცილებელი ღონისძიებები და განმცხადებელს გაეცა პასუხი წერილობით ან ზეპირად. ვინაიდან ზეპირი კომუნიკაცია არ ატარებს შესრულების მტკიცებულების ხასიათს და მისი შედეგები ხშირად ხდება სადავო რეკომენდირებულია ამოღებულ იქნეს ჩანაწერი რეგულაციიდან.

აკადემიაში გამოიყენება 2 სახის ბეჭედი, ერთი აკადემიის ლოგოთი, მეორე ბრძანებებისთვის ,,ასლი დედანთან სწორია'' და 1 შტამპი ,,შემოსული'' წარწერით შესაბამისი კორესპონდენციებისთვის, ბეჭდები და შტამპი ინახება საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერთან. წარმოდგენილი სარეგისტრაციო ჟურნალები ზონარგაყრილია, დანომრილი და ბეჭედდასმული.

საქმისწარმოების დებულების მუხლი 25 არეგულირებს პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეების წარმოების წესს. რომლის მიხედვით პირად საქმეში ინახება სრული ზოგადი ან/და საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი. მეორე მხრივ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 7-ის მიხედვით წარმოსადგენი დოკუმენტის ასლია მოთხოვნილი. შესაბამისად არაერთგვაროვნად რეგულირდება აღნიშნული საკითხი. ექსპერტთა განმავითარებელი რეკომენდაციაა, ერთგვაროვნად მიეთითოს წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი სხვადასხვა მარეგულირებელი აქტში, ამასთანავე, ზოგადად სასურველია, საკითხები რეგულირდებოდეს ერთი აქტით. ასევე, მარეგულირებელ აქტებში გამოყენებულ იქნეს პროფესიული განათლების დამკვიდრებული თანამედროვე ტერმინები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემია ამჟამად ახორციელებს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, თუმცა საქმისწარმოების დებულებაში არ ჩანს სერტიფიკატების აღრიცხვის ამბები. აკადემიას ჯერ არ გაუცია სერტიფიკატები. რეკომენდირებულია დარეგულირდეს პროფესიული მომზადების/გადამზადების სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატების გაცემის საკითხი. **დაწესებულებას შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა, რითაც აკადემია გეგმავს სრულად გადავიდეს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე, ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი" სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების შეფასებას.**

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის;

ელექტრონული საქმისწარმოების შესახებ ჩანაწერებს მოიცავს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკის მუხლი 9, რომლის მიხედვით აკადემია დოკუმენტბრუნვისთვის იყენებს ელექტრონულ სისტემას eFlow-ს. eFlow-ს საშუალებით აკადემია უზრუნველყოფს აკადემიის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმიანობას არსებული პროცესების მხარდაჭერას, კომუნიკაციას, ინფორმაციის დამუშავებასა და დაცვას. ამ ეტაპზე სისტემაში რამდენიმე მომხმარებლის user-ით უკვე სარგებლობს კოლეჯი და დანერგვის პროცესშია.
აკადემია იყენებს Office 365-ს და Microsoft Teams-ის ან/და Zoom-ის პლატფორმას. Microsoft Teams-ის ან/და Zoom-ის პლატფორმაზე ადმინისტრაციისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემია იყენებს შესაბამის ანგარიშებს (Account).
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

ამ ეტაპზე აკადემია ახორციელებს მომზადების/გადამზადების პროფესიულ პროგრამებს და ასახული აქვს შესაბამისი ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ასევე სრულყოფილადაა შევსებული დაწესებულების და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციები.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიას საქმისწარმოების დებულებით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. ვიზიტის დროს გადამოწმდა eFlow-ს სისტემა და კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი, მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციების შემოწმების საფუძველზე დადასტურდა, რომ აკადემია დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის საქმისწარმოების დებულება;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- შესაბამისობის გეგმა;
- eFlow-ს სისტემა;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შედეგები;
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- გასაუბრების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3.პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4.საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

აკადემიას აქვს ვებ გვერდი https://www.freeeduge.ge/, დომეინისთვის ვებგვერდის გაშვება ხორციელდება Hosting-ის საშუალებით. ასევე აქტიურად იყენებს სოც ქსელს(https://www.facebook.com/FreeVisionAcademy), აქვს TikTok გვერდი.
ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ვებგვერდის ადმინისტრირებას ახდენს შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერი. ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერეს. ვინაიდან აკადემია ჯერ არ ახორციელებს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებს, ვებ გვერდის გარკვეული ველები ჯერ შესავსებია, თუმცა უკვე განთავსებულია დაწესებულების მისია, ხედვა ღირებულებები, სტრუქტურა, ინფორმაცია სასერტიფიკატო პროგრამების შესახებ, მთავარი სიახლეები და ა.შ. ვებ გვერდს აქვს სიტყვით ძებნის ფუნქცია. ბიბლიოთეკის ველი შეტანილია ,,კვლევის" რუბრიკაში და რთულად მისაგნებია.
ასევე პროგრამების კატალოგის ველი რთულად მიკვლევადია (უნდა გაიარო შემდეგი ველები: მთავარი/ ჩვენ შესახებ/ პროგრამის განმახორციელებელი/ პროგრამების კატალოგი), მაშინ როცა უნდა წარმოადგენდეს ორგანიზაციისთვის სარეკლამო დოკუმენტს. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია , მარტივი ნავიგაციისთვის ბიბლიოთეკის ველი დაჯგუფდეს აკადემიური სწავლის რუბრიკის ქვეშ ან ჩამოყალიბდეს დამოუკიდებლად. ასევე, პროგრამების კატალოგი განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

დაწესებულებას, მისიაშიც განსაზღვრულია განათლების ინტერნაციონალიზაცია. ვებ გვერდს აქვს ჩაშენებული ფუნქცია ინგლისურ ენაზე გადასასვლელად, თუმცა ამ ეტაპზე თარგმანი არ არის ხელმისაწვდომი. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ,,ვებ გვერდის შექმნა-მოდერნიზაცია", რომლის პროცესიც მიმდინარეობს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

აკადემიის 2024 წლის 19 სექტემბრის ბრძანება 01/38 -ით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმები, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები და მათი ჩატარების გზები, აღწერილია შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესი ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს. აკადემიის ყველა თანამშრომელი, კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან და აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას. ვებ გვერდის და სოციალური ქსელის მართვაზე, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის, სოციალური მედიის და მარკეტინგული კვლევების მენეჯერი. აკადემია უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. კატალოგი არ არის ატვირთული, რაც ახსნეს იმით, რომ ჯერ არ აქვს ორგანიზაციას ავტორიზაცია. წარმოადგინეს ბეჭდური სახით ვიზიტის დროს და მოიცავს საჭირო დეტალურ ინფორმაციას პროგრამების შესახებ. ექსპერტთა განმავითარებელი რეკომენდაციაა პროგრამების კატალოგი განთავსდეს დაწესებულების ვებ. გვერდზე.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

აკადემია ჯერ არ ფუნქციონირებს როგორც პსდ, პირველად შემუშავდა კატალოგი. დაწესებულების ხელმძღვანელი ადასტურებს, რომ პროგრამების კატალოგი განახლდება ყოველწლიურად, პროგრამაში ან/და დაწესებულებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აკადემიის 2024 წლის 19 სექტემბრის ბრძანება 01/38 -ით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმები, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები და მათი ჩატარების გზები, აღწერილია შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესი ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს. წესი ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას გაუმჯობესების მიზნით. პრაქტიკული მაგალითები ჯერ აკადემიას არ აქვს.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გვერდით https://www.freeeduge.ge/,
- https://www.facebook.com/FreeVisionAcademy,
- პროგრამების კატალოგი;
- ვებ გვერდის დათვალიერების შედეგები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2.

ორგანიზაცია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2024-2025 წლის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია ხარჯები თვეების მიხედვით. აკადემიის წლიური ბიუჯეტით დასტურდება, რომ უზრუნველყოფს როგორც საოპერაციო, ასევე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ხარჯებს. სამოქმედო გეგმაში არ არის გაწერილი კონკრეტულად რა ფინანსური რესურსი სჭირდება გათვალისწინებულ აქტივობებს, თუმცა ფინანსური უზრუნველყოფის მხრივ სამოქმედო გეგმის შესრულების პრობლემა არ დაფიქსირებულა. აკადემიამ წარმოადგინა მომდევნო წლის საპროგნოზო ბიუჯეტი.
ექსპერტთა შეფასებით, პირველი და მეორე ინდიკატორების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

აკადემია ჯერ ახალი დაფუძნებულია, 1 წელი არ გასულა და შესაბამისად ფინანსური ანგარიში ვიზიტის დროს არ ჰქონდა მომზადებული. თუმცა საანგარიშო წლის ბოლოს დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

აკადემია ჯერ ახალი დაფუძნებულია, 1 წელი არ გასულა და შესაბამისად არ აქვს მომზადებული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. როგორც გასაუბრებით ირკვევა, დაწესებულება უზრუნველყოფს, საკუთარი ფინანსური მდგრადობის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამოქმედო გეგმა;
- დაწესებულების ბიუჯეტი;
- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2024 წლის 17 აპრილის #01/13 ბრძანებით.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. #50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150 კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146 კრედიტი

I. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	144 პროფესიული სტუდენტი, კოოპერაციული, თბილისი, სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს 6 A აღნიშნული გარემოები აღჭურვილია საჭირო რესურსით 12 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, თითოეულ გარემოში, დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 12 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის განხორციელებაში ჩაერთვება 21 დარგობრივი მოდულების განმახორციელებლი პირი. რესურსების გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია ერთ ცვლაშ მიიღოს 72 პროფესიული სტუდენტი, ხოლო პროგრამის ფარლგებში სულ 144

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. საგანმანათლებლო პროგრამები

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესით“, რომლის თანახმადაც აკადემიის მიერ შერჩეული პროგრამა განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, რომელთა შემადგენლობაც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმით, ხოლო პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერს. აღნიშნული პირი ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, მასვე ევალება სადაო საკითხების გადაწყვეტა. პროგრამის შესწავლის შემდეგ, დადებითი დასკვნის შემთხვევაში აკადემიის დირექტორის ბრძანებით ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებული პროგრამა გადაეცემა ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას აკადემიის ვებ–გვერდზე. აღნიშნულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აკადემიამ თვითშეფასების მომზადების პროცესში სისტემატიურად უნდა მოახდინოს პროგრამების შეფასება და მისი სრულყოფა. ხარისხის მენეჯერს ევალება ასევე პროგრამების მონიტორინგი და შესაბამისი დასკვნების მომზადება, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით, პროგრამის სრულყოფისათვის.

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტით ვგებულობთ, რომ დაწესებულების მიერ პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების გადაწყვეტილება განპირობებულია აღმზრდელის როლის აღიარებით, როგორც ბავშვების ასევე მთლიანად საზოგადოების განვითარებაში. რაც უფრო იზრდება ცნობიერება სკოლამდელი განათლების მნიშვნელობის შესახებ ბავშვის შემეცნებითი, სოციალური და ემოციური უნარების ჩამოყალიბებაში, მით უფრო იზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ კადრზე. გარდა ამისა, ამ პროგრამის დანერგვა ემთხვევა ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებსა და ჩარჩოებს, რომლებიც ხაზს უსვამს ადრეული ასაკის ბავშვების განათლების მნიშვნელობას, როგორც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ფუნდამენტურ საყრდენს. პროგრამა უზრუნველყოფს კომპეტენტური კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც მზად იქნებიან მიღებული განათლება გამოიყენონ პრაქტიკაში და ადაპტირებულნი იყვნენ ოჯახებისა და თემის განვითარებასა და საჭიროებებთან. აკადემია პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილების მიღებას ამყარებს საკუთარი ვალდებულებით: ხელი შეუწყოს კარგად მომზადებულ სამუშაო ძალას, რომელსაც შეეძლება დადებითად იმოქმედოს ბავშვების ცხოვრებაზე.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულებამ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიიღო ასევე აკადემიის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე. თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ შესწავლილი იქნა ღია წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია კერძოდ კვლევები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2022 წელს ჩატარებული „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი“ და „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“, სხვადასხვა დაწესებულებების გამოცდილება და პროგრამები რომელსაც ახორციელებენ ისინი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დარგში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, ასევე ქვეყნის სტრატეგიული მიზნები ამ მიმართულებით ადასტურებს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიზანშეწონილობას.

გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელებასთან დაკავშირებით ეფუძნება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. აკადემიის მისიაა „ქართული ეკონომიკის გამოწვევების იდენტიფიცირება შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური კადრების მომზადება/გადამზადება/არაფორმალური განათლების აღიარება და განათლების ინტერნაციონალიზაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.

პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“–ში, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 17 აპრილის #01/13 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე–6 მუხლით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს, პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის 01/13 ბრძანებით დამტკიცებულია ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“. აღნიშნული წესი თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის #42/ნ ბრძანებასთან „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

2024 წლის 15 აპრილის #01/11 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები:
საფუძველს შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - აპლიკანტთა რეგისტრაციის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია და კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი - ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილი და დასაქმება; სტატისტიკური მონაცემები დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციები, პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ აღმზრდელი“ დამტკიცებულია შპს – თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის # 01/34 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის #01/1(ცვლილება 19.09.2024 #01/32) ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების დებულებით (მუხლი 12, პუნქტი 12.5, „ თ“ ქვეპუნქტი).

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა " აღმზრდელი", იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; 3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; 4.წარმატებული,უსაფრთხო,მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა;
პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი" საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევა დასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ.
პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.
მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული)
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“;
- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
- ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“.
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- დაწესებულების დებულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება, აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს 6 A და სამი B გარემო. A გარემო აღჭურვილია საჭირო რესურსით 12 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, თითოეულ გარემოში, დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 12 პროფესიულ სტუდენტზე, 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 დემონსტრირების საშუალება და 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი).

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის ააიპ # 64 (14.08.2024წ. #38/მ) და ა(ა)იპ # 116 (14.08.2024წ. #39/მ) სახელმწიფო საბავშვო ბაგა–ბაღებთან. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ასევე ქ. თბილისის ორ კერძო ბაღთან „შპს ბელმარი“ (05.08.2024 #36/მ) და შპს „ელფებთან“ (11.06.2024წ. #13/მ) აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად პარტნიორი ორგანიზაციები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ აღნიშნული მოდულების საკუთარ ბაზაზე განხორციელება. გააცნონ პროფესიულ სტუდენტებს საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედი ქცევის წესები, უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა მათი ბაზაზე ყოფნის პერიოდში. თითოეული საბავშვო ბაგა–ბაღი შესაძლებლობას იძლევა მიიღოს 100 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ექსპერტები გაესაუბრნენ ერთერთი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელმაც მზაობა გამოთქვა პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მისი დაწესებულება აქამდეც ახორციელებდა საკუთარი დაწესებულების ბაზაზე პროფესიული სტუდენტების მიღებას და მათი თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცებას. აღნიშნული ბაგა–ბაღი დაკომპლექტებულია აღსაზრდელთა ყველა ასაკობრივი ჯგუფით, დაწესებულებაში დასაქმებულია გამოცდილი და კომპეტენტური კადრით. სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკის განმავლობაში მონაცვლეობით შევიდნენ ყველა ჯგუფში, დააკვირდნენ აღსაზრდელთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მათი ასაკის შესაბამისად მიმდინარე სასწავლო სააღმზრდელო პროცესს, ჯგუფში არსებულ წესებს, ყოველდღიურ რეჟიმს და სხვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით მოთხოვნილი ჰქონდა 150 პროფესიული სტუდენტი. თუმცა ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული რაოდენობა დაკორექტირდა დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს 6 A აღნიშნული გარემოები აღჭურვილია საჭირო რესურსით 12 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, თითოეულ გარემოში, დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 12 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის განხორციელებაში ჩაერთვება 21 დარგობრივი მოდულების განმახორციელებლი პირი. რესურსების გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია ერთ ცვლაშ მიიღოს 72 პროფესიული სტუდენტი, ხოლო პროგრამის ფარლგებში სულ 144

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი.

პროგრამით გათვალისწინებულია 21 დარგობრივი და 13 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირი, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებთან. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაოს ლოკაცია, დატვირთვა, უფლება მოვალეობები, სამუშაოს ანაზღაურების, და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. დანართის სახით ხელშეკრულებას თან ახლავს მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს.

პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. თითო მოდულის განხორციელებისთვის აკადემიას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში წარმოდგენილი იყო აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით და ასევე მასთან გაფორმებული ხელშეკრულება. ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის ხელმძღვანელის განცხადება დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით და ექსპერტებს წარუდგინა 25.02.2025 წლის ბრძანება ახალი პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით და ამავე თარიღით გაფორმებული ხელშეკრულება.
დაწესებულებამ პროგრამის ხელმძღვანელად შეარჩია დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება.
პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა, ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართის სახით ახლავს ხელშეკრულებას. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. აკადემიის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების ხელმძღვანელის 2024 წლის 22 აპრილის #01/4 ბრძანებით დამტკიცებული „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი „–თ განსაზღვრულია, თუ როგორ მოახდენს აკადემია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას აკადემია უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისათვის და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ რეგულირდება სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ ინფორმაცია, როგორ მოხდება სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს სსსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესში ცვლილებების შეტანას და სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ მექანიზების გაწერას.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „აღმზრდელი“ შედგენილია სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 11 პროფესიული სტუდენტი;
შემოსავლების ნაწილში შედის: სტუდენტის გადასახადი, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: მასწავლებლების ანაზღაურებას, მასალისა და ნედლეულის, საკანცელარიო და საოფისე, დიპლომის დანართის გაცემის, სასწავლო ვიზიტისა და პრაქტიკის ორგანიზების, კომუნალური გადასახადების, ადმინისტრაციის ანაზღაურების, პერსონალის განვითარების, იჯარის, გაუთვალისწინებელ და ამორტიზაციის ხარჯებს.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმი;
- ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“ , რომლის პირველი მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საკითხებს. წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად 1. პროგრამის მიმდინარეობისას და 2. პროგრამის დასრულების შემდეგ. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზის გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგთან. პროგრამის განხორციელება ფასდება პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა გამოკითხვით, ინტერვიურებით. სწავლების ყოველი ეტაპის ბოლოს, პროგრამის შეფასების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებს ურიგდებათ მოდულისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების კითხვარი. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება. შეფასებას ახორციელებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის , კვლევების და ვერიფიკაციის მენეჯერი.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“, სადაც მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები, თუმცა **აღნიშნული წესი არ არეგულირებს შემდეგ საკითხებს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. არ არის გაწერილი როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს. როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ითხოვა დამატებით დოკუმენტის წარმოდგენა, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც დაფარავდა აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას, წარმოდგენილი ვერ იქნა.**
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებული,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“-ში ცვლილებების განხორციელებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას; პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ ვადები ყველა მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

2024 წლის 17 აპრილის N01/13 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები, სადაც გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები. კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის ა(ა)იპ # 64 (14.08.2024წ. #38/მ) და ა(ა)იპ # 116 (14.08.2024წ. #39/მ) სახელმწიფო საბავშვო ბაგა–ბაღებთან. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ასევე ქ. თბილისის ორ კერძო ბაღთან „შპს ბელმარი“ (05.08.2024 #36/მ) და შპს „ელფებთან“ (11.06.2024წ. #13/მ) აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად პარტნიორი ორგანიზაციები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ აღნიშნული მოდულების საკუთარ ბაზაზე განხორციელება. გააცნონ პროფესიულ სტუდენტებს საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედი ქცევის წესები, უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა მათი ბაზაზე ყოფნის პერიოდში. თითოეული საბავშვო ბაგა–ბაღი შესაძლებლობას იძლევა მიიღოს 100 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი“ სპეციფიკა არ მოითხოვს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინციდენტების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთოხების, ინციდენტების გამოვლენას, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. შრომის უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ 34/ ფ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,საქართველოს შრომის უსაფრთხოებს ინსტიტუტთან ს/კ 402145585. რომელიც გამოყოფ შესაბამის პირს, კონსულტანტს. მას დაევალება გაუწიოს აკადემიას სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების სისტემების შემუშავებასთან, დანერგვასთან და მართვასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“;
- პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინციდენტების მართვის პოლიტიკა;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, სადაც მოცემულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების №416 მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ,,შუალედური შეფასება სავალდებულოა. შუალედური შეფასების წესსა და პირობებს განსაზღვრავს დაწესებულება, ხოლო მე- 11 პუნქტის მიხედვით, ,,პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება“. დაწესებულების მიერ შემუშავებულ არც ერთ დოკუმენტში არ იძებნება ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურების შესახებ, შესაბამისად აკადემიის შეფასების სისტემა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში ცვლილებების განხორციელებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, რომელიც არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. წესის თანახმად ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი. ხოლო ვერიფიკაციის ჯგუფში შედის დარგის სპეციალისტი, რომელიც ამოწმებს შინაარსობრივ მხარეს. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. დასკვნის ფორმა მტკიცდება აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტებისა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას აკადემიის სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტისა შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

ვერიფიკაციის წესში არ ფიქსირდება დარგის ვერიფიკატორის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში გაწეროს როგორ მოხდება ვერიფიკაციის პროცესში დარგის სპეციალისტის შერჩევა და ჩართვა ისე რომ გამოირიცხოს ინტერესთან კონფლიქტი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესის შესაბამისად. მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით.

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2024 წლის 19.09 01/34 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60 იმიტირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი, იმიტირებული, თბილისი, სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ მოიცავს 16 პროფესიულ და 3 ზოგად მოდულს. დარგობრივი მოდულების განხორციელებისათვის საჭიროა ბუღალტრული ელექტრონული პროგრამის გამოყენება, შესაბამისად ზემოაღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ესაჭიროება B გარემო. სასწავლო გეგმის მიხედვით, აღნიშნული მოდულების საკონტაქტო საათები მერყეობს 20 დან 30 საათამდე. რაც შეეხება პროგრამის განმახორციელებელ პირებს, დარგობრივი მოდულებისთვის განსაზღვრულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის დანართი 2-ის მიხედვით, 6 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელია თითო განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას მოწყობილი აქვს სამი 20 ადგილიანი B გარემო, აქედან 1 B გარემოს(მეორე სართულზე) საჭიროა მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამისთვის. დაწესებულებაში მოწყობილი სულ 17 A გარემო 12 პროფესიული სტუდენტისთვის.
დაწესებულება შეძლებს 2 ცვლაში ა 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესით“, რომლის თანახმადაც აკადემიის მიერ შერჩეული პროგრამა განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, რომელთა შემადგენლობაც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმით, ხოლო პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერს. აღნიშნული პირი ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, მასვე ევალება სადაო საკითხების გადაწყვეტა. პროგრამის შესწავლის შემდეგ, დადებითი დასკვნის შემთხვევაში აკადემიის დირექტორის ბრძანებით ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება. დამტკიცებული პროგრამა გადაეცემა ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას აკადემიის ვებ–გვერდზე. აღნიშნულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აკადემიამ თვითშეფასების მომზადების პროცესში სისტემატიურად უნდა მოახდინოს პროგრამების შეფასება და მისი სრულყოფა. ხარისხის მენეჯერს ევალება ასევე პროგრამების მონიტორინგი და შესაბამისი დასკვნების მომზადება, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით, პროგრამის სრულყოფისათვის.

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტით ვგებულობთ, რომ ,,ბუღალტრული აღრიცხვა'' პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის. აღნიშნული პროგრამის აუცილებლობა აშკარაა შრომის ბაზარზე, რასაც გვიჩვენებს დასაქმების პლატფორმების კვლევა (jobs.ge,hr.ge,hr.gov.ge,linkedin), დიდია მოთხოვნა ბუღალტრებზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებში, როგორც კერძო, ისე საჯარო უწყებებში. ეს მოთხოვნა განპირობებულია როგორც ბიზნესის გაფართოებით, ასევე ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის აუცილებლობით. ადგილობრივი სამუშაო ბაზრის ტენდენციები მიუთითებს, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იპოვონ შესაძლებლობები არა მხოლოდ ტრადიციულ ბუღალტერიაში, არამედ ფინანსურ ანალიზთან, საგადასახადო მომზადებასთან და კორპორატიულ ფინანსებთან დაკავშირებულ პოზიციებზე. პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად, აკადემიას გააჩნია კეთილმოწყობილი აუდიტორიები და კომპიუტერული ლაბორატორიების კომბინაცია და გამოცდილი განმახორციელებლები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ბუღალტერიის სფეროში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს როგორც თეორიული სწავლებით, ასევე პრაქტიკული ცოდნით.

თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ შესწავლილ იქნა 2022 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი და უნარების საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, ასევე თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ პროფორიენტაციული აქტივობების განხორციელების დროს ისანი - სამგორის რაიონში 23 საჯარო სკოლაში განხორციელდა 1500 მეტი მოსწავლის გამოკითხვა მათთვის სასურველი პროგრამის არჩევის მიზნით, აღნიშნული კვლევების და გამოკითხვის მიხედვით ,,ბუღალტრული აღრიცხვა'' პროგრამა მოთხოვნადია და მომზადებული კადრები მაღალი დასაქმების უნარიანობით გამოირჩევიან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“–ში, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 17 აპრილის #01/13 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე–6 მუხლით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს, პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის 01/13 ბრძანებით დამტკიცებულია ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“. აღნიშნული წესი თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის #42/ნ ბრძანებასთან „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

2024 წლის 15 აპრილის #01/11 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები:
საფუძველს შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - აპლიკანტთა რეგისტრაციის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია და კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი - ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილი და დასაქმება; სტატისტიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემები დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციები, პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცებულია შპს – თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის # 01/34 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის #01/1(ცვლილება 19.09.2024 #01/32) ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების დებულებით (მუხლი 12, პუნქტი 12.5, „ თ“ ქვეპუნქტი).
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ამზადებს პროფესიულ სტუდენტებს, კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით. ექსპერტთა შეფასებით, **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე აკადემიის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის #01/34 ბრძანებით. პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის“ მოცულობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 99 კრედიტია, ხოლო პროგრამის მოცულობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 129 კრედიტს. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს. შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“;
- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
- ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“.
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- დაწესებულების დებულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადში მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 -ს თუმცა ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება, ასევე შესწავლილი იქნა მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტები. შპს. თავისუფალი ხედვის აკადემია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ განახორციელებს თბილისში, თრიალეთის ქუჩა N 50 . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ მოიცავს 16 პროფესიულ და 3 ზოგად მოდულს. დარგობრივი მოდულების განხორციელებისათვის საჭიროა ბუღალტრული ელექტრონული პროგრამის გამოყენება, შესაბამისად ზემოაღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ესაჭიროება B გარემო. B გარემოში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერებში ჩატვირთულია (ORIS) პროგრამა (20 ერთეული (20+1), პრინტერითა და პროექტორით. სასწავლო გეგმის მიხედვით, აღნიშნული მოდულების საკონტაქტო საათები მერყეობს 20 დან 30 საათამდე. რაც შეეხება პროგრამის განმახორციელებელ პირებს, დარგობრივი მოდულებისთვის განსაზღვრულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის დანართი 2-ის მიხედვით, 6 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელია თითო განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას მოწყობილი აქვს სამი 20 ადგილიანი B გარემო, აქედან 1 B გარემოს(მეორე სართულზე) საჭიროა მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამისთვის. დაწესებულება შეძლებს 2 ცვლაში ა 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას.
ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“, არ არის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდული და სწავლება პრაქტიკის ობიექტზე, სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხოციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლით, საიდანაც 6 ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, ხოლო 19 - ზოგად მოდულებს . მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელებლად ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა “განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდებათ დარგის და ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციები. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური დარგის სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები, გაწერილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართში, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის ადაპტირება- შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, დარგში სიახლეების გაცნობა– დანერგვაში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებაში.

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად და მისი პირადი საქმის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში..

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. აკადემიის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია გააფორმოს ხელშეკრულება საკანონმდებლო მაცნესთან, და ისარგებლობს ავტორიზირებული მომხმარებლის ანგარიშით, რადგან აღნიშნული საქმიანობა პირდაპირ კავშირშია საკანონმდებლო წესებთან და პროცესებთან და მნიშვნელოვანია პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებოდეს კანონთა თუ ნორმატიულ აქტთა უახლესი ვერსიები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების ხელმძღვანელის 2024 წლის 22 აპრილის #01/4 ბრძანებით დამტკიცებული „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი „–თ განსაზღვრულია, თუ როგორ მოახდენს აკადემია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას აკადემია უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისათვის და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ რეგულირდება სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ ინფორმაცია, როგორ მოხდება სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს სსსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესში ცვლილებების შეტანას და სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ მექანიზების გაწერას.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 11 პროფესიული სტუდენტი;

შემოსავლების ნაწილში შედის: სტუდენტის გადასახადი, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: მასწავლებლების ანაზღაურებას, მასალისა და ნედლეულის, საკანცელარიო და საოფისე, დიპლომის დანართის გაცემის, სასწავლო ვიზიტისა და პრაქტიკის ორგანიზების, კომუნალური გადასახადების, ადმინისტრაციის ანაზღაურების, პერსონალის განვითარების, იჯარის, გაუთვალისწინებელ და ამორტიზაციის ხარჯებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“ , რომლის პირველი მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საკითხებს. წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად 1. პროგრამის მიმდინარეობისას და 2. პროგრამის დასრულების შემდეგ. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზის გამოვლენასა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგთან. პროგრამის განხორციელება ფასდება პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა გამოკითხვით, ინტერვიურებით. სწავლების ყოველი ეტაპის ბოლოს, პროგრამის შეფასების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებს ურიგდებათ მოდულისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების კითხვარი. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება. შეფასებას ახორციელებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის , კვლევების და ვერიფიკაციის მენეჯერი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“, სადაც მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები, თუმცა **აღნიშნული წესი არ არეგულირებს შემდეგ საკითხებს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. არ არის გაწერილი როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს. როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ითხოვა დამატებით დოკუმენტის წარმოდგენა, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც დაფარავდა აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას, წარმოდგენილი ვერ იქნა.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებული,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“-ში ცვლილებების განხორციელებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან
- სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას; პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ ვადები ყველა მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

1.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

2024 წლის 17 აპრილის N01/13 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები, სადაც გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები. კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების ფორმაა - იმიტირებული, შესაბამისად პროგრამა სრულად განხორციელდება დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სივრცეში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი“ სპეციფიკა არ მოითხოვს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინციდენტების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთოხების, ინციდენტების გამოვლენას, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. შრომის უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ 34/ ფ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,საქართველოს შრომის უსაფრთხოებს ინსტიტუტთან ს/კ 402145585. რომელიც გამოყოფ შესაბამის პირს, კონსულტანტს. მას დაევალება გაუწიოს აკადემიას სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების სისტემების შემუშავებასთან, დანერგვასთან და მართვასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“
- ინციდენტების მართვის პოლიტიკა;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი"სადაც მოცემულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების №416 მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ,,შუალედური შეფასება სავალდებულოა. შუალედური შეფასების წესსა და პირობებს განსაზღვრავს დაწესებულება, ხოლო მე- 11 პუნქტის მიხედვით, ,,პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება". დაწესებულების მიერ შემუშავებულ არც ერთ დოკუმენტში არ იძებნება ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურების შესახებ, შესაბამისად აკადემიის შეფასების სისტემა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი" და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში ცვლილებების განხორციელებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, რომელიც არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. წესის თანახმად ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი. ხოლო ვერიფიკაციის ჯგუფში შედის დარგის სპეციალისტი, რომელიც ამოწმებს შინაარსობრივ მხარეს. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. დასკვნის ფორმა მტკიცდება აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტებისა შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას აკადემიის სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტისა შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

ვერიფიკაციის წესში არ ფიქსირდება დარგის ვერიფიკატორის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში გაწეროს როგორ მოხდება ვერიფიკაციის პროცესში დარგის სპეციალისტის შერჩევა და ჩართვა ისე რომ გამოირიცხოს ინტერესთან კონფლიქტი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესის შესაბამისად. მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით.

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2024 წლის 19.09 N01/34 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N 50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60 კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67 კრედიტი

III. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	0- პროფესიული სტუდენტი, კოოპერაციული, თბილისი, სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება

იმისათვის რომ დაწესებულებამ განახორციელოს ,,საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მან უნდა მოაწყოს დამატებით B გარემო. მიმდინარე წარმოების ფარგლებში მოწყობილი გარემოები სრულად თვისებულია სხვა პროგრამებისთვის.

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.2 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1) პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3) პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5) საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6) საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7) პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8) პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესით“, რომლის თანახმადაც აკადემიის მიერ შერჩეული პროგრამა განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, რომელთა შემადგენლობაც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმით, ხოლო პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერს. აღნიშნული პირი ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, მასვე ევალება სადაო საკითხების გადაწყვეტა. პროგრამის შესწავლის შემდეგ, დადებითი დასკვნის შემთხვევაში აკადემიის დირექტორის ბრძანებით ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება. დამტკიცებული პროგრამა გადაეცემა ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას აკადემიის ვებ–გვერდზე. აღნიშნულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აკადემიამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასების მომზადების პროცესში სისტემატიურად უნდა მოახდინოს პროგრამების შეფასება და მისი სრულყოფა. ხარისხის მენეჯერს ევალება ასევე პროგრამების მონიტორინგი და შესაბამისი დასკვნების მომზადება, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით, პროგრამის სრულყოფისათვის.

თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ შესწავლილ იქნა 2022 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი და უნარების საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, ასევე თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ პროფორიენტაციული აქტივობების განხორციელების დროს ისანი - სამგორის რაიონში 23 საჯარო სკოლაში განხორციელდა 1500 მეტი მოსწავლის გამოკითხვა მათთვის სასურველი პროგრამის არჩევის მიზნით, აღნიშნული კვლევების და გამოკითხვის მიხედვით საფინანსო სერვისების“ პროგრამა მოთხოვნადია და მომზადებული კადრები მაღალი დასაქმების უნარიანობით გამოირჩევიან. ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საფინანსო სერვისები“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს საბაზო განათლებას და 17 წლის ასაკის მიღწევას. რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით „საფინანსო სერვისები“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“–ში, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 17 აპრილის #01/13 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე–6 მუხლით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს, პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის 01/13 ბრძანებით დამტკიცებულია ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“. აღნიშნული წესი თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის #42/ნ ბრძანებასთან „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

2024 წლის 15 აპრილის #01/11 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები:
საფუძველს შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - აპლიკანტთა რეგისტრაციის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია და კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი - ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილი და დასაქმება; სტატისტიკური მონაცემები დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციები, პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ საფინანსო სერვისები“ დამტკიცებულია შპს – თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის №01/34 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის №01/1(ცვლილება 19.09.2024 №01/32) ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების დებულებით (მუხლი 12, პუნქტი 12.5, „თ“ ქვეპუნქტი).

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პსდ-ს მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „საფინანსო სერვისები“ თანხვედრაშია საფინანსო სერვისების ჩარჩო დოკუმენტის დასახელებასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე აკადემიის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საფინანსო სერვისები. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეყრდნობა ჩარჩო დოკუმენტის 2017 წლის რედაქციას. ზემოაღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტში უკანასკნელი ცვლილება განხორციელდა 11.03.2021 წელს. შეიცვალა შემდეგი საკითხები: მოდულის სალაროს ოპერაციების განხორციელება - 3, 4, 5 -სწავლის შედეგების შეფასების მიმართულება შეიცვალა და განისაზღვრა -პრაქტიკული დავალება დაკვირვებით. მოდულის - ,,სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი’ მე-4 სწავლის შედეგის შეფასების მიმართულება შეიცვალა და განისაზღვრა-- ,,პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“. მოდულის - ,,საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები’’ პირველი სწავლის შედეგის შეფასების მიმართულება შეიცვალა და განისაზღვრა „პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში არ არის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“;
- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
- ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“.
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- დაწესებულების დებულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

კოლეჯს გააჩნია ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, მის: თრიალეთის ქ.N 50, სადაც განთავსებულის A, B/C სასწავლო გარემოები.
დაწესებულების A ტიპის გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გათვლილია 12 პროფესიულ სტუდენტზე. B ტიპის სასწავლო გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე (20 კომპიუტერით, მონიტორით, პრინტერით). დაწესებულებას მოწყობილი აქვს სულ 3 B გარემო. მათგან 1 B გარემო საჭიროა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, კომპიუტერული ქსელი და სისტემები' განხორციელებისათვის. 1 B გარემო საჭიროა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" განხორციელებისათვის. ხოლო მესამე B გარემო ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. ეს უკანასკნელი განსაზღვრულია ასევე ზოგადი მოდულისთვის ,,ინფორმაციული წიგნიერება". საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 13 პროფესიულ მოდულს, რომელთა განხორციელებისათვის საჭიროა ელექტრონულ სისტემაში მუშაობა.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს **„თიბისი ბანკ"-თან.** ხელშეკრულება- N37/მ გაფორმებულია 2024 წლის 6 აგვისტოს და მოქმედებს 6 წლის ვადით. ორგანიზაცია გამოთქვამს მზადყოფნას, საფინანსო სერვისების პროფესიული სადიპლომო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფის მიზნით 1 წლის განმავლობაში მიიღოს საფინანსო სერვისების 60 პროფესიული სტუდენტი. მხარეთა თანამშრომლობის მიზანი ბევრ სხვა მიზანთან ერთად არის პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის უზრუნველყოფა, თუმცა აღნიშნული სტუდენტებიდან კონკრეტული სტუდენტის შერჩევას შემდგომი პრაქტიკის განხორციელების მიზნით ახორციელებს ბანკი. ასევე ერთ-ერთი მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებას აქვს თანამშრომლობის ფარგლები, შესაბამისად ორგანიზაცი არ არის ვალდებული შეარჩიოს და პრაქტიკით უზრუნველყოს სტუდენტები, თუმცა ვალდებულია ითანამშრომლოს აკადემიასთან. სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები, კრედიტების ოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და სხვა დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება სასწავლო პროგრამის შესაბამისად, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში მიეწოდება ორგანიზაციას.
ხელშეკრულებას არ ახლავს ინფორმაცია პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების შესახებ.

აკადემიას პროფესიული მოდულების ფარგლებში მე-2 პარტნიორი ჰყავს „ტერაბანკი", რომელთან დადებული ხელშეკრულება N371/მ გაფორმებულია 2024 წლის 8 აგვისტოს და ძალაშია მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ბანკი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტს პრაქტიკით, თუმცა ხელშეკრულებაში არ არის მითითებული რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია ბანკს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის მიზნებისთვის. „ტერაბანკთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, სადაც მითითებულია ის მოდულები-გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც ითანამშრომლებენ აკადემია და „ტერაბანკი“.

პროგრამის ფარგლებში მესამე პარტნიორი ობიექტია მაღაზია- შპს „ჰიდროსკანდ“. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია ხელშეკრულება N22/მ, რომელიც გაფორმებულია 2020 წლის 24 ივნისს და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ფარგებში მოინახულეს პრაქტიკის ობიექტი შპს „ჰიდროსკანდ“, რომელშიც წესით ხდება პროფესიული მოდულის „ სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“-ს პრაქტიკული ნაწილის განხორციელება, თუმცა ხელშეკრულებას არ ახლავს დანართი, სადაც მითითებული იქნება შესაბამისი პროფესიული მოდული. ექსპერტებს ადგილზე დახვდათ პერსონალი, რომელთაც ისაუბრეს ადგილზე შესაძლო პრაქტიკული ნაწილის განხორციელების, პირობების და გამტარუნარიანობის შესახებ, გასაუბრებისას გაირკვა რომ მისამართზე: ბალანჩინის ქ. N30 ერთდროულად, ერთ ცვლაში შეუძლიათ მაქს. 4 პროფესიული სტუდენტის მიღება, ჯამში დღიურად მინ. 2 ცვლა, ასევე აღნიშნეს, რომ ჯამში 4 ფილიალი აქვთ თბილისის მასშტაბით, თუმცა ხელშეკრულების შესრულების ადგილად მხოლოდ 1 კონკრეტული მისამართი ფიქსირდება. ასევე აღნიშნული პროფესიული მოდულის ფარგლებში 1 პრაქტიკის ობიექტის არსებობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო გეგმა შედგენილი იყოს იმგვარად , რომ აღნიშნული მოდულის გავლის პარალელურად არ იყოს დაგეგმილი სხვა მოდულების განხორციელება, რადგან ფიზიკურად შეუძლებელი იქნება პრაქტიკის პარალელურად ლექციებზე დასწრება, ლოკაციიდან და პრაქტიკის დროიდან გამომდინარე.

პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იყო შპს **„ალტა სოფთვეართან“** 2024 წლის 13 ივნისს გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი N13062024-01, N16/მ. მემორანდუმის მიზანია სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად კომპანიის მხრიდან ხელშეწყობა და თანამშრომლობა წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში სასწავლო დაწესებულების, სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლება, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი განათლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობა და პროფესიული განათლების განვითარება. მემორანდუმის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელმოწერის მომენტიდან 3 წლის ვადით.

რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებს/აღჭურვილობას, რომელიც პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა დანარჩენი მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის გამოიყენება, დაწესებულებაში ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი და ძირითადი მათგანის არსებობა დადასტურდა. მათ შორის იყო: ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი, ფულის სათვლელი მანქანა, საინკასაციო ჩანთის მულაჟი, შტამპები, გამომთვლელები, ლუპა, ფულის მულაჟები. დადასტურდა საბანკო სატესტო პროგრამის ფლობა, როგორც ალტასთან გაფორმებული მემორანდუმით, ისე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე გადამოწმებით. მატერიალური რესურსის დათვალიერებისას ყველა კომპიუტერში ჩატვირთული იყო ალტას სატესტო პროგრამა. აღნიშნული მატერიალური რესურსები განთავსებულია B გარემოში რომელიც განსაზღვრულია კომპიუტერული ქსელისა და სისტემებისათვის. აღნიშნული გარემო დატვირთულია სრულად ორ ცვლაში და ვერ უზრუნველყოფს საფინანსო სერვისების დარგობრივი მოდულების განხორციელებას.

იმისათვის რომ დაწესებულებამ განახორციელოს „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მან უნდა მოაწყოს დამატებით B გარემო. მიმდინარე წარმოების ფარგლებში მოწყობილი გარემოები სრულად ათვისებულია სხვა პროგრამებისთვის. შესაბამისად პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საფინანსო სერვისები“ განხორციელებაში ჩართულია განმახორციელებელი პირების საერთო რაოდენობა პროგრამაზე შეადგენს 19 პროფესიული განათლების მასწავლებელს. აქედან: 16 ზოგადი მოდულების მასწავლებელი და 3 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საფინანსო სერვისები“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განმახორციელებლებს წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდებათ დარგის და ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციები. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური დარგის სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები, გაწერილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართში, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის ადაპტირება- შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, დარგში სიახლეების გაცნობა– დანერგვაში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებაში.
ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად და მისი პირადი საქმის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში..

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. აკადემიის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების ხელმძღვანელის 2024 წლის 22 აპრილის #01/4 ბრძანებით დამტკიცებული „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი „–თ განსაზღვრულია, თუ როგორ მოახდენს აკადემია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას აკადემია უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისათვის და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ რეგულირდება სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ ინფორმაცია, როგორ მოხდება სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,საფინანსო სერვისები“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 11 პროფესიული სტუდენტი;

შემოსავლების ნაწილში შედის: სტუდენტის გადასახადი, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: მასწავლებლების ანაზღაურებას, მასალისა და ნედლეულის, საკანცელარიო და საოფისე, დიპლომის დანართის გაცემის, სასწავლო ვიზიტისა და პრაქტიკის ორგანიზების, კომუნალური გადასახადების, ადმინისტრაციის ანაზღაურების, პერსონალის განვითარების, იჯარის, გაუთვალისწინებელ და ამორტიზაციის ხარჯებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
6. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“ , რომლის პირველი მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საკითხებს. წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად 1. პროგრამის მიმდინარეობისას და 2. პროგრამის დასრულების შემდეგ. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზის გამოვლენასა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგთან. პროგრამის განხორციელება ფასდება პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა გამოკითხვით, ინტერვიურებით. სწავლების ყოველი ეტაპის ბოლოს, პროგრამის შეფასების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებს ურიგდებათ მოდულისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების კითხვარი. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება. შეფასებას ახორციელებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის , კვლევების და ვერიფიკაციის მენეჯერი.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“, სადაც მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები, თუმცა **აღნიშნული წესი არ არეგულირებს შემდეგ საკითხებს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. არ არის გაწერილი როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს. როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ითხოვა დამატებით დოკუმენტის წარმოდგენა, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც დაფარავდა აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას, წარმოდგენილი ვერ იქნა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას; პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ ვადები ყველა მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

2024 წლის 17 აპრილის N01/13 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები, სადაც გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები. კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს **„თიბისი ბანკ“-თან.** ხელშეკრულება- N37/მ გაფორმებულია 2024 წლის 6 აგვისტოს და მოქმედებს 6 წლის ვადით. ორგანიზაცია გამოთქვამს მზადყოფნას, საფინანსო სერვისების პროფესიული სადიპლომო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფის მიზნით 1 წლის განმავლობაში მიიღოს საფინანსო სერვისების 60 პროფესიული სტუდენტი. მხარეთა თანამშრომლობის მიზანი ბევრ სხვა მზანთან ერთად არის პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის უზრუნველყოფა, თუმცა აღნიშნული სტუდენტებიდან კონკრეტული სტუდენტის შერჩევას შემდგომი პრაქტიკის განხორციელების მიზნით ახორციელებს ბანკი. ასევე ერთ-ერთი მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებას აქვს თანამშრომლობის ფარგლები, შესაბამისად ორგანიზაცი არ არის ვალდებული შეარჩიოს და პრაქტიკით უზრუნველყოს სტუდენტები, თუმცა ვალდებულია ითანამშრომლოს აკადემიასთან. სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები, კრედიტების ოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და სხვა დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება სასწავლო პროგრამის შესაბამისად, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში მიეწოდება ორგანიზაციას. ხელშეკრულებას არ ახლავს ინფორმაცია პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების შესახებ.

აკადემიას პროფესიული მოდულების ფარგლებში მე-2 პარტნიორი ჰყავს „ტერაბანკი“, რომელთან დადებული ხელშეკრულება N371/მ გაფორმებულია 2024 წლის 8 აგვისტოს და ძალაშია მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ბანკი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტს პრაქტიკით, თუმცა ხელშეკრულებაში არ არის მითითებული რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია ბანკს პრაქტიკის მიზნებისთვის. „ტერაბანკთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, სადაც მითითებულია ის მოდულები-გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც ითანამშრომლებენ აკადემია და „ტერაბანკი“.

პროგრამის ფარგლებში მესამე პარტნიორი ობიექტია მაღაზია- შპს „ჰიდროსკანდ“. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია ხელშეკრულება N22/მ, რომელიც გაფორმებულია 2020 წლის 24 ივნისს და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ფარგებში მოინახულეს პრაქტიკის ობიექტი შპს „ჰიდროსკანდ“, რომელშიც წესით ხდება პროფესიული მოდულის „ სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“-ს პრაქტიკული ნაწილის განხორციელება, თუმცა ხელშეკრულებას არ ახლავს დანართი, სადაც მითითებული იქნება შესაბამისი პროფესიული მოდული. ექსპერტებს ადგილზე დახვდათ პერსონალი, რომელთაც ისაუბრეს ადგილზე შესაძლო პრაქტიკული ნაწილის განხორციელების, პირობების და გამტარუნარიანობის შესახებ, გასაუბრებისას გაირკვა რომ მისამართზე: ბალანჩინის ქ. N30 ერთდროულად, ერთ ცვლაში შეუძლიათ მაქს. 4 პროფესიული სტუდენტის მიღება, ჯამში დღიურად მინ. 2 ცვლა, ასევე აღნიშნეს, რომ ჯამში 4 ფილიალი აქვთ თბილისის მასშტაბით, თუმცა ხელშეკრულების შესრულების ადგილად მხოლოდ 1 კონკრეტული მისამართი ფიქსირდება. ასევე აღნიშნული პროფესიული მოდულის ფარგლებში 1 პრაქტიკის ობიექტის არსებობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედგენილი იყოს იმგვარად , რომ აღნიშნული მოდულის გავლის პარალელურად არ იყოს დაგეგმილი სხვა მოდულების განხორციელება, რადგან ფიზიკურად შეუძლებელი იქნება პრაქტიკის პარალელურად ლექციებზე დასწრება, ლოკაციიდან და პრაქტიკის დროიდან გამომდინარე.

პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იყო შპს **„ალტა სოფთვეართან“** 2024 წლის 13 ივნისს გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი N13062024-01, N16/მ. მემორანდუმის მიზანია სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად კომპანიის მხრიდან ხელშეწყობა და თანამშრომლობა წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში სასწავლო დაწესებულების, სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლება, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი განათლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობა და პროფესიული განათლების განვითარება. მემორანდუმის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელმოწერის მომენტიდან 3 წლის ვადით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6..სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი“ სპეციფიკა არ მოითხოვს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინციდენტების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთხოების, ინციდენტების გამოვლენას, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. შრომის უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ 34/ ფ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,საქართველოს შრომის უსაფრთხოებს ინსტიტუტთან ს/კ 402145585. რომელიც გამოყოფ შესაბამის პირს, კონსულტანტს. მას დაევალება გაუწიოს აკადემიას სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების სისტემების შემუშავებასთან, დანერგვასთან და მართვასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საფინანსო სერვისები“
- ინციდენტების მართვის პოლიტიკა;
- გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“სადაც მოცემულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების №416 მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ,,შუალედური შეფასება სავალდებულოა. შუალედური შეფასების წესსა და პირობებს განსაზღვრავს დაწესებულება, ხოლო მე- 11 პუნქტის მიხედვით, ,,პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება“. დაწესებულების მიერ შემუშავებულ არც ერთ დოკუმენტში არ იძებნება ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურების შესახებ, შესაბამისად აკადემიის შეფასების სისტემა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, რომელიც არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. წესის თანახმად ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი. ხოლო ვერიფიკაციის ჯგუფში შედის დარგის სპეციალისტი, რომელიც ამოწმებს შინაარსობრივ მხარეს. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. დასკვნის ფორმა მტკიცდება აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტებისა შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას აკადემიის სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტისა შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

ვერიფიკაციის წესში არ ფიქსირდება დარგის ვერიფიკატორის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში გაწეროს როგორ მოხდება ვერიფიკაციის პროცესში დარგის სპეციალისტის შერჩევა და ჩართვა ისე რომ გამოირიცხოს ინტერესთან კონფლიქტი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესის შესაბამისად. მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით.

პროგრამის სახელწოდება	საქთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2024 წლის 19.09 N01/34 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N 50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	200 კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210 კრედიტი

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	144 პროფესიული სტუდენტი, კოოპერაციული, თბილისი, სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო განათლება'' მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მოდულებს მოდულებს. თეორიული კომპონენტისთვის განსაზღვრულია 6 A გარემო, სადაც მოწყობილია სასწავლო სივრცე 12 პროფესიული სტუდენტისთვის. ასევე დაწესებულებას მოწყობილი აქვს ორი c გარემო პროფესიული მოდულების ,,შინმოვლა" და ,,ავადმოვლა" პრაქტიკული კომპონენტისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „საექთნო განათლება" განსაზღვრულია 17 (ჩვიდმეტი) პროფესიული მასწავლებელი, რომელი ჩართული იქნება პროგრამის იმ მოდულების განხორციელებაში, რომელიც წარიმართება კოლეჯის სივრცეში. დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის კლინიკებთან, სადაც თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 150.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში, დაწესებულებას შეუძლია ერთ ცვლაში მიიღოს 72 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ორ ცვლაში 144.

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ■ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1) პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3) პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5) საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6) საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7) პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8) პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესით“, რომლის თანახმადაც აკადემიის მიერ შერჩეული პროგრამა განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, რომელთა შემადგენლობაც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმით, ხოლო პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერს. აღნიშნული პირი ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, მასვე ევალება სადაო საკითხების გადაწყვეტა. პროგრამის შესწავლის შემდეგ, დადებითი დასკვნის შემთხვევაში აკადემიის დირექტორის ბრძანებით ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება. დამტკიცებული პროგრამა გადაეცემა ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას აკადემიის ვებ–გვერდზე. აღნიშნულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აკადემიამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასების მომზადების პროცესში სისტემატიურად უნდა მოახდინოს პროგრამების შეფასება და მისი სრულყოფა. ხარისხის მენეჯერს ევალება ასევე პროგრამების მონიტორინგი და შესაბამისი დასკვნების მომზადება, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით, პროგრამის სრულყოფისათვის.

თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ შესწავლილ იქნა 2022 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი და უნარების საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, ასევე თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ პროფორიენტაციული აქტივობების განხორციელების დროს ისანი - სამგორის რაიონში 23 საჯარო სკოლაში განხორციელდა 1500 მეტი მოსწავლის გამოკითხვა მათთვის სასურველი პროგრამის არჩევის მიზნით, აღნიშნული კვლევების და გამოკითხვის მიხედვით საექთნო საქმი“ პროგრამა მოთხოვნადია და მომზადებული კადრები მაღალი დასაქმების უნარიანობით გამოირჩევიან. შ.პ.ს. თავისუფალი ხედვის აკადემიას პრიორიტეტად მიაჩნია პროფესიული განათლების შეთავაზება და სწავლა/ სწავლების კომპონენტების განვითარება ჯანდაცვის მიმართულებით და ამ შრომის ბაზარზე დასაქმების, ჯანსაღი კონკურენციისათვის ხელშეწყობა როგორც თბილისის, ასევე ქვეყნის მასშტაბით. კოლეჯმა გადაწყვიტა მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადება საექთნო განათლებაში, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო განათლება“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით „საექთნო განათლება'' განსაზღვრულ მოთხოვნებთან.. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“–ში, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 17 აპრილის #01/13 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე–6 მუხლით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის 01/13 ბრძანებით დამტკიცებულია ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“. აღნიშნული წესი თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის #42/ნ ბრძანებასთან „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

2024 წლის 15 აპრილის #01/11 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები:
საფუძველს შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - აპლიკანტთა რეგისტრაციის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია და კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი - ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილი და დასაქმება; სტატისტიკური მონაცემები დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციები, პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დამტკიცებულია შპს – თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის # 01/34 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის #01/1(ცვლილება 19.09.2024 #01/32) ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების დებულებით (მუხლი 12, პუნქტი 12.5, „ თ“ ქვეპუნქტი).
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პსდ-ს მიერ მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,საექთნო განათლება’ თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტის დასახელებასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე აკადემიის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საფინანსო სერვისები. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეყრდნობა ჩარჩო დოკუმენტის 2018 წლის 21 მაისის რედაქციას. ზემოაღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტში უკანასკნელი ცვლილება განხორციელდა 15.09.2021წელს. შეიცვალა შემდეგი საკითხები: ჩარჩო დოკუმენტიდან ამოღებულ იქნა მე-**13** პუქტი**. კლინიკური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე მოდულში "ინფექციის კონტროლის საფუძვლები" (ს/ნ 0910904) მეოთხე სწავლის შედეგი „საექთნო საქმის წარმოებისას უსაფრთხო ინფექციის პრაქტიკის განმარტება“ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით „საექთნო საქმის წარმოებისას უსაფრთხო ინექციის პრაქტიკის განმარტება“. ამავე სწავლის შედეგის შესრულების კრიტერიუმებში ნაცვლად „4. სწორად განსაზღვრავს ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპებს“ ჩაიწერა „4. სწორად განსაზღვრავს ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპებს“. ასევე, აღნიშნული სწავლის შედეგის კომპეტენციის პარამეტრების ფარგლებში „ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპების” ნაცვლად განისაზღვრა „ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის პრინციპები".
დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში არ არის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“;
- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
- ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“.
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- დაწესებულების დებულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2) პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4) საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5) საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6) სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7) პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საექთნო განათლება** სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი რესურსით და პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე.
კოლეჯს გააჩნია ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, მის: თრიალეთის ქ.N 50, სადაც განთავსებულის A, B,C სასწავლო გარემოები.
დაწესებულების A ტიპის გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გათვლილია 12 პროფესიულ სტუდენტზე. B ტიპის სასწავლო გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე (20 კომპიუტერით, მონიტორით, პრინტერით). დაწესებულებას აღნიშნული პროგრამისთვის საავტორიზაციო განაცხადით მოთხოვნილი ჰქონდა 200 პროფესიული სტუდენტი . თუმცა აკადემიის მიერ წარმოდგენილი რესურსებით აღნიშნული რაოდენობა დაკორექტირდა და განისაზღვრა 144 -ით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო განათლება" მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მოდულებს მოდულებს. თეორიული კომპონენტისთვის განსაზღვრულია 6 A გარემო, სადაც მოწყობილია სასწავლო სივრცე 12 პროფესიული სტუდენტისთვის. ასევე დაწესებულებას მოწყობილი აქვს ორი C გარემო პროფესიული მოდულების ,,შინმოვლა" და ,,ავადმოვლა" პრაქტიკული კომპონენტისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „საექთნო განათლება" განსაზღვრულია 17 (ჩვიდმეტი) პროფესიული მასწავლებელი, რომელი ჩართული იქნება პროგრამის იმ მოდულების განხორციელებაში , რომელიც წარიმართება კოლეჯის სივრცეში. დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ქალაქ თბილისის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრი
- შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტი
- შპს ბაიები
- შპს კლინიკური ონკოლოგიის ცენტრი
- შპს ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი
- შპს სხივური მედიცინის ცენტრი
- შპს წმინდა მიქაელის ჰოსპიტალი

პრაქტიკის ობიექტები გაფორმებული ხელშეკრულებაში განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და მოვალეობები, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები, აღნიშნული ობიექტები დოკუმენტის თანახმად მიიღებენ 150 პროფესიულ სტუდენტს. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტი განახორციელა პრაქტიკის ორ ობიექტზე:

- შპს ბაიები
- შპს სხიური მედიცინის ცენტრი

სხივური მედიცინის ცენტრში განსაზღვრულია შემდეგი მოდულების განხორციელება; - კლინიკური პრაქტიკა - ,,თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა'' და ,,შემაჯამებელი - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა''. თუმცა ექსპერტთა შეფასებით, ზემოაღნიშნული მოდულების შედეგის მიღწევა ვერ მოხდება სხივური მედიცინის ცენტრში, რადგან ცენტრი წამოადგენს დღის სტაციონარს, სადაც ძირითადად ყოვნდებიან რადიაქტიული თერაპიის შემდეგ პაციენტების და მათთან პირდაპირი კონტაქტი საზიანოა როგორც სამედიცინო პერსონალისთვის, ისე რა თქმა უნდა პროფესიული სტუდენტებისთვის, ცენტრის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტებზე მეთვალყურეობა ხორციელდება სპეციალური პროტოკოლებით, რომლებიც არ ითვალისწინებს იმ უნარების განვითარებას/შესწავლას რასაც მოითხოვს საექთნო პროგრამაში არსებული შესაბამისი მოდულები. მოდულების კლინიკური პრაქტიკა - ,,თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა'' და ,,შემაჯამებელი - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა'' განხორციელება ხელშეკრულებით განსაზღვრულია სხვა კლინიკებთანაც, შესაბამისად აღნიშნული ცენტრთან ხელშეკრულების შეწყვეტა არ შეაფერხებს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში, დაწესებულებას შეუძლია ერთ ცვლაში მიიღოს 72 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ორ ცვლაში 144.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „საქართნო განათლება“ განსაზღვრულია 17 (ჩვიდმეტი) პროფესიული მასწავლებელი, მათგან ყველა პირი განახორციელებს თეორიულ მოდულებს აკადემიის სივრცეში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ სცდება კვირაში 40 საათს.

დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების/ინსტრუქტორების მიახლოებითი/წინასწარი რაოდენობა. ასევე, არ არის განსაზღვრული კლინიკური მოდულების განმანხორციელებელი პირების კვალიფიკაცია. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მოცემულია პრაქტიკის განმახორციელებლის ვალდებულებები. სადაც აღნიშნულია რომ პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია აკადემიას მიაწოდოს პრაქტიკის პროცესში ჩართული პირის შესახებ ინფორმაცია, რათა აკადემიამ გააფორმოს ხელშეკრულება. თუმცა დაწესებულების მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი ვერანაირი სახის (შრომის წინარე, შრომის, მომსახურების) ხელშეკრულება და ვერც ინსტრუქტორთა სავარაუდო სია და რაოდენობა. რაც ეჭქვეშ აყენებს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მდგრადობას.

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას პრაქტიკულ კომპონენტში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის/პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით (გასაუბრება შედგა 3 მასწავლებელთან). პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების გამოცდილება. მასწავლებლები რომლებთანაც გასაუბრება განხორციელდა აღნიშნეს რომ ისინი პარალელურად ასწავლიან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

<u>რაც შეეხება პრაქტიკული მოდულების განმახორციელებლებს მათი ვინაობა და კვალიფიკაცია ვერ დგინდება ვერც სასწავლო დაწესებულებაში და ვერც პრაქტიკის ობიექტზე</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების, ასევე პერსონალთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ თეორიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, *თუმცა იგივე საკითხის შეფასების შესაძლებლობა არ ჰქონიათ ექსპერტებს პრაქტიკული მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით.*

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელმძღვანელი, თუმცა მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ავტორიზაციის დებულების მიხედვით „პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.“
დაწესებულების მიერ შერჩეული პროგრამის ხელმძღვანელი არის დიპლომირებული მედიკოსი, მის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება ე.ი-ს საექთნო პრაქტიკა/კვალიფიკაცია. CV-ში მითითებულია, რომ რამდენიმე თვე მუშაობდა ექთნად, თუმცა ვერ მოხერხდა სამუშაო ადგილიდან ცნობის წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებს მის კომპეტენციას საექთნო მიმართულებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ე.ი ვერ შეძლებს უხელმძღვანელოს საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. გარდა ამისა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, ის წარმოადგენს აკადემიაში იკავებს ექიმის პოზიციას, რომელის დატვირთვაც მოითხოვს სრულ განაკვეთურ სამუშაოს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტის დროს გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი. შემოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა, თუმცა (მაგ. ადამიანის ანატომია ზ. კაციტაძის რედაქციით) ვერ მოიძებნა ვერც მყარ მატარებელზე და ვერც ელექტრონულად. გარდა ამისა ელექტრონულად წიგნების მოძიება გართულებულია სუსტი ინტერნეტის პირობებში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით განპირობებულია, იმით, რომ ჯერ აკადემია ავტორიზაციის მიღების პროცესშია და სრული დატვირთვით აღნიშნული სერვისის შეძენა საჭიროებას არ წარმოადგენს. შესაბამისად დადგინდა რომ მოდულებში მითითებული რესურსი არ არის ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული ფორმით, შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების ხელმძღვანელის 2024 წლის 22 აპრილის #01/4 ბრძანებით დამტკიცებული „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი „–თ განსაზღვრულია, თუ როგორ მოახდენს აკადემია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას აკადემია უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისათვის და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ რეგულირდება სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ ინფორმაცია, როგორ მოხდება სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „საქთნო განათლება“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 11 პროფესიული სტუდენტი;

შემოსავლების ნაწილში შედის: სტუდენტის გადასახადი, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: მასწავლებლების ანაზღაურებას, მასალისა და ნედლეულის, საკანცელარიო და საოფისე, დიპლომის დანართის გაცემის, სასწავლო ვიზიტისა და პრაქტიკის ორგანიზების, კომუნალური გადასახადების, ადმინისტრაციის ანაზღაურების, პერსონალის განვითარების, იჯარის, გაუთვალისწინებელ და ამორტიზაციის ხარჯებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

7. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
8. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“ , რომლის პირველი მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საკითხებს. წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად 1. პროგრამის მიმდინარეობისას და 2. პროგრამის დასრულების შემდეგ. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზის გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგთან. პროგრამის განხორციელება ფასდება პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა გამოკითხვით, ინტერვიურებით. სწავლების ყოველი ეტაპის ბოლოს, პროგრამის შეფასების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებს ურიგდებათ მოდულისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების კითხვარი. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება. შეფასებას ახორციელებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის , კვლევების და ვერიფიკაციის მენეჯერი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“, სადაც მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები, თუმცა **აღნიშნული წესი არ არეგულირებს შემდეგ საკითხებს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. არ არის გაწერილი როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს. როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ და ა.შ. ექსპერტთა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ითხოვა დამატებით დოკუმენტის წარმოდგენა, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც დაფარავდა აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას, წარმოდგენილი ვერ იქნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
8. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
10. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
11. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას; პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ ვადები ყველა მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

2024 წლის 17 აპრილის N01/13 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები, სადაც გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები. კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამის იმ მოდიულების განხორციელებაში , რომელიც წარიმართება კოლეჯის სივრცეში. დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

- შპს ქალაქ თბილისის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრი
- შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტი
- შპს ბაიები
- შპს კლინიკური ონკოლოგიის ცენტრი
- შპს ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი
- შპს სხიური მედიცინის ცენტრი
- შპს წმინდა მიქაილის ჰოსპიტალი

პრაქტიკის ობიექტები გაფორმებული ხელშეკრულებაში განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და მოვალეობები, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები, აღნიშნული ობიექტები დოკუმენტის თანახმად მიიღებენ 150 პროფესიულ სტუდენტს. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტი განახორციელა პრაქტიკის ორ ობიექტზე:

- შპს ბაიები
- შპს სხიური მედიცინის ცენტრი

სხივური მედიცინის ცენტრში განსაზღვრულია შემდეგი მოდულების განხორციელება; - კლინიკური პრაქტიკა - ,,თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა'' და ,,შემაჯამებელი - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა''. თუმცა ექსპერტთა შეფასებით, ზემოაღნიშნული მოდულების შედეგის მიღწევა ვერ მოხდება სხივური მედიცინის ცენტრში, რადგან ცენტრი წარმოადგენს დღის სტაციონარს, სადაც ძირითადად ყოვნდებიან რადიაქტიული თერაპიის შემდეგ პაციენტების და მათთან პირდაპირი კონტაქტი საზიანოა როგორც სამედიცინო პერსონალისთვის, ისე რა თქმა უნდა პროფესიული სტუდენტებისთვის, ცენტრის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტებზე მეთვალყურეობა ხორციელდება სპეციალური პროტოკოლებით, რომლებიც არ ითვალისწინებს იმ უნარების განვითარებას/შესწავლას რასაც მოითხოვს საექთნო პროგრამაში არსებული შესაბამისი მოდულები. მოდულების კლინიკური პრაქტიკა -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,,თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა'' და ,,შემაჯამებელი - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა'' განხორციელება ხელშეკრულებით განსაზღვრულია სხვა კლინიკებთანაც, შესაბამისად აღნიშნული ცენტრთან ხელშეკრულების შეწყვეტა არ შეაფერხებს პრაქტიკული კომპონენტის განოხრციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6..სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,საექთნო განათლების'' შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმები. ასევე შემუშავებულია ინციდენტების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთოხების, ინციდენტების გამოვლენას, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. შრომის უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ 34/ ფ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,საქართველოს შრომის უსაფრთხოებს ინსტიტუტთან ს/კ 402145585. რომელიც გამოყოფ შესაბამის პირს, კონსულტანტს. მას დაევალება გაუწიოს აკადემიას სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების სისტემების შემუშავებასთან, დანერგვასთან და მართვასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება;
- ინციდენტების მართვის პოლიტიკა;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

5. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
7. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“სადაც მოცემულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების №416 მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ,,შუალედური შეფასება სავალდებულოა. შუალედური შეფასების წესსა და პირობებს განსაზღვრავს დაწესებულება, ხოლო მე- 11 პუნქტის მიხედვით, ,,პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება“. დაწესებულების მიერ შემუშავებულ არც ერთ დოკუმენტში არ იძებნება ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურების შესახებ, შესაბამისად აკადემიის შეფასების სისტემა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, რომელიც არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. წესის თანახმად ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი. ხოლო ვერიფიკაციის ჯგუფში შედის დარგის სპეციალისტი, რომელიც ამოწმებს შინაარსობრივ მხარეს. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. დასკვნის ფორმა მტკიცდება აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტებისა შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას აკადემიის სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტისა შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

ვერიფიკაციის წესში არ ფიქსირდება დარგის ვერიფიკატორის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში გაწეროს როგორ მოხდება ვერიფიკაციის პროცესში დარგის სპეციალისტის შერჩევა და ჩართვა ისე რომ გამოირიცხოს ინტერესთან კონფლიქტი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესის შესაბამისად. მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით.

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2024 წლის 19.09 01/34 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	შპს თავისუფალი ხედვის აკადემია თბილისი, თრიალეთის ქუჩა N 50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80 იმიტირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76 კრედიტი

V. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი, იმიტირებული, თბილისი, სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" განსაზღვრულია 1 B გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მონაცემების მქონე კომპიუტერებითა და სამუშაო ადგილით 20 პროფესიული სტუდენტისთვის. რაც შეეხება ზოგად მოდულებს, პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს. თუკი დაწესებულება აღნიშნულ მოდულებსაც განახორციელებს B გარემოში. აკადემიას შეუძლია მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი 2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლაში. ჯამში 40 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის დარგობრივი მოდულებისთვის განსაზღვრულია 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაბამისად მათი რაოდენობა საკმარისი იქნება მხოლოდ 2 ჯგუფისთვის.

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1) პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3) პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5) საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6) საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7) პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8) პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“–თ, რომლის თანახმადაც აკადემიის მიერ შერჩეული პროგრამა განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, რომელთა შემადგენლობაც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმით, ხოლო პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერს. აღნიშნული პირი ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, მასვე ევალება სადაო საკითხების გადაწყვეტა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროგრამის შესწავლის შემდეგ, დადებითი დასკვნის შემთხვევაში აკადემიის დირექტორის ბრძანებით ხდება პროგრამის დამტკიცება. დამტკიცებული პროგრამა გადაეცემა ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას აკადემიის ვებ–გვერდზე. აღნიშნული დოკუმენტით ვგებულობთ, რომ აკადემიამ თვითშეფასების მომზადების პროცესში სისტემატიურად უნდა მოახდინოს პროგრამების შეფასება და მისი სრულყოფა. ხარისხის მენეჯერს ევალება ასევე პროგრამების მონიტორინგი და შესაბამისი დასკვნების მომზადება, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით, პროგრამის სრულყოფისათვის.

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტით ვგებულობთ, რომ ინფორმაციის ტექნოლოგია - პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდა, ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროში. პროგრამა უზრუნველყოფს: პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; ასევე სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნას, კურსდამთავრებული გააცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

თანამედროვე ცხოვრებისა და მუშაობის ყველა ასპექტში ტექნოლოგიების მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დღევანდელ ციფრულ ეპოქაში, საინფორმაციო ტექნოლოგიები გახდა სხვადასხვა ინდუსტრიის განუყოფელი ნაწილი, რაც საჭიროებს მუშახელს, რომელიც კარგად ფლობს როგორც ტექნიკის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერას.

მოთხოვნა IT სპეციალისტებზე აგრძელებს ზრდას, რაც გამოწვეულია ტექნოლოგიების სწრაფი წინსვლის, კიბერუსაფრთხოების საფრთხეების ზრდისა და ბიზნესის მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაციის გამო. ამ პროგრამის დამატებით, აკადემია მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს ადგილობრივი სამუშაო ბაზრის მოთხოვნილებები, აღჭურვონ სტუდენტები აუცილებელი ტექნიკური უნარებითა და ცოდნით, რომლებიც საჭიროა საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის როლში წარჩინებისთვის. გარდა ამისა, პროგრამა შეესაბამება საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს ჩვენი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ ბაზარზე.

თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ შესწავლილ იქნა 2022 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი და უნარების საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, ასევე თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ პროფორიენტაციული აქტივობების განხორციელების დროს ისანი - სამგორის რაიონში 23 საჯარო სკოლაში განხორციელდა 1500 მეტი მოსწავლის გამოკითხვა მათთვის სასურველი პროგრამის არჩევის მიზნით, აღნიშნული კვლევების და გამოკითხვის მიხედვით ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' პროგრამა მოთხოვნადია და მომზადებული კადრები მაღალი დასაქმების უნარიანობით გამოირჩევიან. ექსპერტთა შეფასებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება. რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი"–ში, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 17 აპრილის #01/13 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე–6 მუხლით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს, პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის 01/13 ბრძანებით დამტკიცებულია ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი". აღნიშნული წესი თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის #42/ნ ბრძანებასთან „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

2024 წლის 15 აპრილის #01/11 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები:
საფუძველს შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - აპლიკანტთა რეგისტრაციის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია და კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი - ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილი და დასაქმება; სტატისტიკური მონაცემები დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციები, პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ ინფორმაციის ტექნოლოგია“ დამტკიცებულია შპს – თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის # 01/34 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის #01/1(ცვლილება 19.09.2024 #01/32) ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების დებულებით (მუხლი 12, პუნქტი 12.5, „ თ“ ქვეპუნქტი).
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,ინფორმაციის ტექნოლოგია' თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტის დასახელებასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე აკადემიის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის #01/34 ბრძანებით. პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' მოცულობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 61 კრედიტია, ხოლო პროგრამის მოცულობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 76 კრედიტს. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს. შესაბამისად, პსდ-ს **საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“;
- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
- ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“.
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- დაწესებულების დებულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2) პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4) საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5) საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6) სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7) პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შპს. თავისუფალი ხედვის აკადემია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' განახორციელებს თბილისში არსებულ შენობაში, რომელიც მდებარეობს სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50 . პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა შეადგენდა - 80 პროფესიულ სტუდენტს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს B გარემო, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით, შესაბამისი მონაცემების მქონე კომპიუტერებით, რომელიც ასევე უზრუნველყოფილია პროგრამულად. B გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 20 პროფესიულ სტუდენტზე, 21 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 დემონსტრირების საშუალება და 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). B გარემოში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა (20 ერთეული (20+1), პრინტერითა და პროექტორით. ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' არ არის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდული და სწავლება პრაქტიკის ობიექტზე, პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

პროგრამის სპეციფიკა საჭიროებს უმეტესად B გარემოს სრულად. აკადემიას სულ სამი B გარემო აქვს. ამ პროგრამის გარდა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' პროგრამასაც სრულად B გარემო ჭირდება, მესამე B რჩება სხვა ყველა პროგრამისთვის. ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' და ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' პროგრამებისთვის ორი B გარემო მდებარეობს აკადემიის მესამე სართულზე, თითო 20 ადგილით და შესაძლებელია თითო პროგრამაზე 2 ცვლიანი სწავლების შემთხვევაში 2 ჯგუფის მიღება ანუ პროგრამის ფარგლებში სულ 40 პროფესიული სტუდენტი. პროგრამა მოიცავს მხოლოდ 5 მოდულის, რომელიც არ საჭიროებს კომპიუტერულ კლასს, თუმცა ვინაიდან თეორიული სწავლებისთვის A გარემოები 12 ადგილიანია ეს მოდულებიც განხორციელდება B გარემოში, ვინაიდან ერთდროულად 20 პირი იყოს ჯგუფში.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლით, საიდანაც 4 ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, ხოლო 21 - ზოგად მოდულებს . მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განმახორციელებლებს წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდებათ დარგის და ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციები. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია. გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების უმეტესობას აქვს პროგრამის განხორციელების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გამოცდილება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია .**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური დარგის სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები, გაწერილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართში, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის ადაპტირება- შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, დარგში სიახლეების გაცნობა– დანერგვაში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად და მისი პირადი საქმის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. აკადემიის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების ხელმძღვანელის 2024 წლის 22 აპრილის #01/4 ბრძანებით დამტკიცებული „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი „–თ განსაზღვრულია, თუ როგორ მოახდენს აკადემია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას აკადემია უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისათვის და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ რეგულირდება სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ ინფორმაცია, როგორ მოხდება სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს სსსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესში ცვლილებების შეტანას და სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ მექანიზების გაწერას.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 11 პროფესიული სტუდენტი;

შემოსავლების ნაწილში შედის: სტუდენტის გადასახადი, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: მასწავლებლების ანაზღაურებას, მასალისა და ნედლეულის, საკანცელარიო და საოფისე, დიპლომის დანართის გაცემის, სასწავლო ვიზიტისა და პრაქტიკის ორგანიზების, კომუნალური გადასახადების, ადმინისტრაციის ანაზღაურების, პერსონალის განვითარების, იჯარის, გაუთვალისწინებელ და ამორტიზაციის ხარჯებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი;
- განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1) პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2) პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“ , რომლის პირველი მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საკითხებს. წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად 1. პროგრამის მიმდინარეობისას და 2. პროგრამის დასრულების შემდეგ. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზის გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგთან. პროგრამის განხორციელება ფასდება პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა გამოკითხვით, ინტერვიურებით. სწავლების ყოველი ეტაპის ბოლოს, პროგრამის შეფასების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებს ურიგდებათ მოდულისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების კითხვარი. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება. შეფასებას ახორციელებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის , კვლევების და ვერიფიკაციის მენეჯერი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“, სადაც მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები, თუმცა **აღნიშნული წესი არ არეგულირებს შემდეგ საკითხებს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. არ არის გაწერილი როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს. როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ და ა.შ. ექსპერტთა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ითხოვა დამატებით დოკუმენტის წარმოდგენა, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც დაფარავდა აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას, წარმოდგენილი ვერ იქნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებული,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“-ში ცვლილებების განხორციელებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან
- სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1) პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2) პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3) სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4) პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5) პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას; პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ ვადები ყველა მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

2024 წლის 17 აპრილის N01/13 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები, სადაც გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები. კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი დაწესებულება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6..სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არ სჭირდება უსაფრთოხების განსაკუთრებული ნორმები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმები. ასევე შემუშავებულია ინციდენტების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთოხების, ინციდენტების გამოვლენას, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. შრომის უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ 34/ ფ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,საქართველოს შრომის უსაფრთხოებს ინსტიტუტთან ს/კ 402145585. რომელიც გამოყოფ შესაბამის პირს, კონსულტანტს. მას დაევალება გაუწიოს აკადემიას სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების სისტემების შემუშავებასთან, დანერგვასთან და მართვასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია
- ინციდენტების მართვის პოლიტიკა;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1) პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3) პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, სადაც მოცემულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების №416 მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ,,შუალედური შეფასება სავალდებულოა. შუალედური შეფასების წესსა და პირობებს განსაზღვრავს დაწესებულება, ხოლო მე- 11 პუნქტის მიხედვით, ,,პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება“. დაწესებულების მიერ შემუშავებულ არც ერთ დოკუმენტში არ იძებნება ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურების შესახებ, შესაბამისად აკადემიის შეფასების სისტება არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში ცვლილებების განხორციელებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, რომელიც არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. წესის თანახმად ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი. ხოლო ვერიფიკაციის ჯგუფში შედის დარგის სპეციალისტი, რომელიც ამოწმებს შინაარსობრივ მხარეს. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. დასკვნის ფორმა მტკიცდება აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტებისა შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას აკადემიის სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტისა შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

ვერიფიკაციის წესში არ ფიქსირდება დარგის ვერიფიკატორის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში გაწეროს როგორ მოხდება ვერიფიკაციის პროცესში დარგის სპეციალისტის შერჩევა და ჩართვა ისე რომ გამოირიცხოს ინტერესთან კონფიქტი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესის შესაბამისად. მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- გასაუბრების შედეგები.
- სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით.

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2024 წლის 19.09 01/34 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	შპს თავისუფალი ხედვის აკადემია ქ. თბილისი, თრიალეთის ქუჩა N 50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80 იმიტირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117 კრედიტი

VI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი, იმიტირებული, თბილისი, სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" განსაზღვრულია 1 B გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მონაცემების მქონე კომპიუტერებითა და სამუშაო ადგილით 20 პროფესიული სტუდენტისთვის. რაც შეეხება ზოგად მოდულებს, პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს. თუკი დაწესებულება აღნიშნულ მოდულებსაც განახორციელებს B გარემოში. აკადემიას შეუძლია მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში. ჯამში 40 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის დარგობრივი მოდულებისთვის განსაზღვრულია 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაბამისად მათი რაოდენობა საკმარისი იქნება მხოლოდ 2 ჯგუფისთვის.

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1) პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3) პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5) საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6) საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7) პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8) პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“–თ, რომლის თანახმადაც აკადემიის მიერ შერჩეული პროგრამა განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, რომელთა შემადგენლობაც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმით, ხოლო პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერს. აღნიშნული პირი ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, მასვე ევალება სადაო საკითხების გადაწყვეტა. პროგრამის შესწავლის შემდეგ, დადებითი დასკვნის შემთხვევაში აკადემიის დირექტორის ბრძანებით ხდება პროგრამის დამტკიცება. დამტკიცებული პროგრამა გადაეცემა ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას აკადემიის ვებ–გვერდზე. აღნიშნული დოკუმენტით ვგებულობთ, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიამ თვითშეფასების მომზადების პროცესში სისტემატიურად უნდა მოახდინოს პროგრამების შეფასება და მისი სრულყოფა. ხარისხის მენეჯერს ევალება ასევე პროგრამების მონიტორინგი და შესაბამისი დასკვნების მომზადება, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით, პროგრამის სრულყოფისათვის.

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტით ვგებულობთ, რომ კომპიუტერული ქსელი და სისტემების - პროგრამის მიზანია, დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

პროგრამის დანერგვის გადაწყვეტილება გამოწვეულია ქსელის და სისტემების მართვის სექტორში გამოცდილი პროფესიონალების მწვავე საჭიროებით. ტექნოლოგიის წინსვლისა და ციფრული ლანდშაფტის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა პროფესიონალ პირებზე, რომლებსაც შეუძლიათ კომპიუტერული ქსელების მართვა უფრო და უფრო მზარდია.

იმის გამო, რომ ბიზნესები სულ უფრო მეტად არიან დამოკიდებული მძლავრ ქსელურ ინფრასტრუქტურაზე, რათა უზრუნველყონ უწყვეტი კომუნიკაცია და მონაცემთა მენეჯმენტი, აუცილებელი გახდა მუშახელის მომზადება, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ეს ტექნოლოგიური მოთხოვნები. კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს თანამედროვე კომპიუტერული ქსელების მხარდასაჭერად და შესანარჩუნებლად საჭირო უნარებით, მათ შორის ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის და ქსელის უსაფრთხოების ცოდნით.

გარდა ამისა, პროგრამა ემთხვევა კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს კურსდამთავრებულებს დასაქმდნენ სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ტელეკომუნიკაციებში, IT სერვისებში და მსხვილ ორგანიზაციებში, რომლებსაც აქვთ რთული ქსელის საჭიროებები. სპეციალიზებული მოდულების ჩართვა, როგორიცაა მობილური და Linux ოპერაციული სისტემები და ღრუბლოვანი ტექნოლოგიები, უზრუნველყოფს ჩვენი სტუდენტების აღჭურვას შესაბამისი უნარებით, რომლებიც შეესაბამება ინდუსტრიის მიმდინარე სტანდარტებს.

თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ შესწავლილ იქნა 2022 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი და უნარების საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, ასევე თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ პროფორიენტაციული აქტივობების განხორციელების დროს ისანი - სამგორის რაიონში 23 საჯარო სკოლაში განხორციელდა 1500 მეტი მოსწავლის გამოკითხვა მათთვის სასურველი პროგრამის არჩევის მიზნით, აღნიშნული კვლევების და გამოკითხვის მიხედვით ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' პროგრამა მოთხოვნადია და მომზადებული კადრები მაღალი დასაქმების უნარიანობით გამოირჩევიან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება. რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი"–ში, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 17 აპრილის #01/13 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე–6 მუხლით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს, პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის 01/13 ბრძანებით დამტკიცებულია ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი". აღნიშნული წესი თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის #42/ნ ბრძანებასთან „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

2024 წლის 15 აპრილის #01/11 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები:
საფუძველს შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - აპლიკანტთა რეგისტრაციის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია და კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი - ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილი და დასაქმება; სტატისტიკური მონაცემები დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციები, პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ ინფორმაციის ტექნოლოგია“ დამტკიცებულია შპს – თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის # 01/34 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის #01/1(ცვლილება 19.09.2024 #01/32) ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების დებულებით (მუხლი 12, პუნქტი 12.5, „ თ“ ქვეპუნქტი).
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პსდ-ს მიერ მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,ინფორმაციის ტექნოლოგია’ თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტის დასახელებასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე აკადემიის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის #01/34 ბრძანებით. პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' მოცულობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 61 კრედიტია, ხოლო პროგრამის მოცულობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 76 კრედიტს. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს. შესაბამისად, პსდ-ს **საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 03 აპრილის #01/8 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“;
- შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
- ,,აპლიკანტთა შერჩევის და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- დაწესებულების დებულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს. თავისუფალი ხედვის აკადემია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' განახორციელებს თბილისში არსებულ შენობაში, რომელიც მდებარეობს სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50 . პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა შეადგენდა - 80 პროფესიულ სტუდენტს. თუმცა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს B გარემო, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით, შესაბამისი მონაცემების მქონე კომპიუტერებით, რომელიც ასევე უზრუნველყოფილია პროგრამულად. B გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 20 პროფესიულ სტუდენტზე, 21 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 დემონსტრირების საშუალება და 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). B გარემოში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა (20 ერთეული (20+1), პრინტერითა და პროექტორით. ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' არ არის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდული და სწავლება პრაქტიკის ობიექტზე, პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

პროგრამის სპეციფიკა საჭიროებს უმეტესად B გარემოს სრულად. აკადემიას სულ სამი B გარემო აქვს. ამ პროგრამის გარდა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' პროგრამასაც სრულად B გარემო ჭირდება, მესამე B რჩება სხვა ყველა პროგრამისთვის. ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' და ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' პროგრამებისთვის ორი B გარემო მდებარეობს აკადემიის მესამე სართულზე, თითო 20 ადგილით და შესაძლებელია თითო პროგრამაზე 2 ცვლიანი სწავლების შემთხვევაში 2 ჯგუფის მიღება ანუ პროგრამის ფარგლებში სულ 40 პროფესიული სტუდენტი. პროგრამა მოიცავს მხოლოდ 5 მოდულის, რომელიც არ საჭიროებს კომპიუტერულ კლასს, თუმცა ვინაიდან თეორიული სწავლებისთვის A გარემოები 12 ადგილიანია ეს მოდულებიც განხორციელდება B გარემოში, ვინაიდან ერთდროულად 20 პირი იყოს ჯგუფში.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'' განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლით, საიდანაც 4 ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, ხოლო 21 - ზოგად მოდულებს . მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განმახორციელებლებს წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდებათ დარგის და ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციები. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია. გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების უმეტესობას აქვს პროგრამის განხორციელების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გამოცდილება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია .**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური დარგის სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები, გაწერილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართში, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის ადაპტირება- შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, დარგში სიახლეების გაცნობა– დანერგვაში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებაში.

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად და მისი პირადი საქმის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმის შემუშავებაში. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. აკადემიის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების ხელმძღვანელის 2024 წლის 22 აპრილის #01/4 ბრძანებით დამტკიცებული „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი „–თ განსაზღვრულია, თუ როგორ მოახდენს აკადემია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას აკადემია უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისათვის და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ რეგულირდება სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ ინფორმაცია, როგორ მოხდება სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხავეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს სსსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესში ცვლილებების შეტანას და სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესახებ მექანიზების გაწერას.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის კომპიუტერული ,,ქსელი და სისტემები“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 11 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემოსავლების ნაწილში შედის: სტუდენტის გადასახადი, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: მასწავლებლების ანაზღაურებას, მასალისა და ნედლეულის, საკანცელარიო და საოფისე, დიპლომის დანართის გაცემის, სასწავლო ვიზიტისა და პრაქტიკის ორგანიზების, კომუნალური გადასახადების, ადმინისტრაციის ანაზღაურების, პერსონალის განვითარების, იჯარის, გაუთვალისწინებელ და ამორტიზაციის ხარჯებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი;
- განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.
- სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1) პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2) პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“ , რომლის პირველი მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საკითხებს. წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად 1. პროგრამის მიმდინარეობისას და 2. პროგრამის დასრულების შემდეგ. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზის გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგთან. პროგრამის განხორციელება ფასდება პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა გამოკითხვით, ინტერვიურებით. სწავლების ყოველი ეტაპის ბოლოს, პროგრამის შეფასების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებს ურიგდებათ მოდულისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების კითხვარი. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება. შეფასებას ახორციელებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის მენეჯერი.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“, სადაც მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები, თუმცა **აღნიშნული წესი არ არეგულირებს შემდეგ საკითხებს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. არ არის გაწერილი როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს. როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ითხოვა დამატებით დოკუმენტის წარმოდგენა, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც დაფარავდა აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას, წარმოდგენილი ვერ იქნა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტისას დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებული,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“-ში ცვლილებების განხორციელებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან;
- სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას; პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ ვადები ყველა მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

2024 წლის 17 აპრილის N01/13 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები, სადაც გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები. კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი დაწესებულება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6..სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არ სჭირდება უსაფრთოხების განსაკუთრებული ნორმები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმები. ასევე შემუშავებულია ინციდენტების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთოხების, ინციდენტების გამოვლენას, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. შრომის უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ 34/ ფ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,საქართველოს შრომის უსაფრთხოებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტიტუტთან ს/კ 402145585. რომელიც გამოყოფ შესაბამის პირს, კონსულტანტს. მას დაევალება გაუწიოს აკადემიას სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების სისტემების შემუშავებასთან, დანერგვასთან და მართვასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- ინციდენტების მართვის პოლიტიკა;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“სადაც მოცემულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების №416 მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ,,შუალედური შეფასება სავალდებულოა. შუალედური შეფასების წესსა და პირობებს განსაზღვრავს დაწესებულება, ხოლო მე- 11 პუნქტის მიხედვით, ,,პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება“. დაწესებულების მიერ შემუშავებულ არც ერთ დოკუმენტში არ იძებნება ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურების შესახებ, შესაბამისად აკადემიის შეფასების სისტემა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის N 01/23 ბრძანებით. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადების, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საბალოო ვადად განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 30 ივნისი. აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში ცვლილებების განხორციელებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. ყველა მათგანის შესრულების ვადად დაწესებულებას მითითებული აქვს მიმიდინარე წლის 30 ივნისი, რისი შესრულებაც, შესაძლებელია ვერ მოასწროს . შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა, აკადემიამ სრულად გამოიყენოს 6 თვიანი ვადა.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, რომელიც არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. წესის თანახმად ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი. ხოლო ვერიფიკაციის ჯგუფში შედის დარგის სპეციალისტი, რომელიც ამოწმებს შინაარსობრივ მხარეს. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემოწმებას. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. დასკვნის ფორმა მტკიცდება აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტებისა შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას აკადემიის სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტისა შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

ვერიფიკაციის წესში არ ფიქსირდება დარგის ვერიფიკატორის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში გაწეროს როგორ მოხდება ვერიფიკაციის პროცესში დარგის სპეციალისტის შერჩევა და ჩართვა ისე რომ გამოირიცხოს ინტერესთან კონფლიქტი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესის შესაბამისად. მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/წესები;
- გასაუბრების შედეგები.
- სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....
.....
.....
.....

08.04.2025წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: